ვახტანგ ტაბაღუა

მოხეტიალე

(ბენდელას დღიურიდან)

ამბები კოსმოსიდან და დედამიწიდან

ვარსკვლავთ წვიმა

გადაუღებლად წვიმდა ვარსკვლავთ წვიმა.

ცვიოდნენ ციდან ვარსკვლავები. ზოგი ჰაერშივე იფერფლებოდა, ზოგი დედამიწამდე აღწევდა და მიწაზე დანარცხებისას ნაპერწკლებს ყრიდა.

ჩაფიქრებულ სურვილებს ბოლო არ უჩანდა...

ზოგს დედა ენატრებოდა, ზოგს მამა...

ღატაკებს თავისი სურვილები ჰქონდათ, მდიდრებს თავისი, ავადმყოფებს თავისი გაჭირვება. შულერები იღბალზე ოცნებობდნენ, ქურდები და პოლიციელები გამართლებაზე...

თითო ვარსკვლავი თითო სურვილს იღებდა თავის თავზე, ხან რამდენიმეს ერთად.

გადაუღებლად წვიმდა ვარსკვლავთ წვიმა.

და...

და გადაიღო ვარსკვლავთ წვიმამ.

სილამაზემ ჩაიარა თუ არა, ღატაკებს გაეცინათ. აბა, ჩამოვარდნილ ვარსკვლავზე ჩაფიქრებულ სურვილებს უწერიათ ასრულება?!..

მდიდრებსაც ჩაეცინათ.

მხოლოდ ისინი იყვნენ იმედიანად, ვინც სიყვარულზე ჩაიფიქრა...

გადაიღო ვარსკვლავების წვიმამ.

დაიბეჭდა გაზეთში “თიანეთის მომავალი.”
იანვარი, 2015 წ.

რედაქტორი თამუნა გორგაძე

ძველი ჭრილობების მწარე სიჩუმე

ძველი ჭრილობების მწარე სიჩუმე მუდამ თან დამდევს,
სადღაც, გზად, დავკარგე მხიარული ხმები გიტარის, და
დათოვლილი ტყის სიჩუმეში დავეხეტები...
უკან მომყვება ნაკვალევი, ჭრილობების ნადენი სისხლის.

ხანდახან ტყის ბილიკები სადმე გამიყვანს,
და ჩამოვჯდები უცნობ ცეცხლთან, თითქმის უსიტყვოდ...
თითქოს ჭრილობები ჩუმად ხორცდება,
მაგრამ ზურგს ეკან ნაკვალევი ისევ თანა მსდევს...

ღრმა ჭრილობების მწარე სიჩუმეს ვერ აკავებენ პირამიდები,
აფრებ გაშლილი ხომალდები ოკეანეში,
კანიონებში სწრაფი ფრენა ფრთებმოკეცილი, ვერ აკავებენ,
და ვერც მოგვებთან საუბრები ვერ აკავებენ...

დავეხეტები კონტინენტიდან კონტინენტამდე, ოკეანიდან ოკეანემდე,
და ჭრილობების მწარე სიჩუმე მუდამ თან დამდევს.

restavratio

(ამბავი, მოსმენილი სადღაც ტყეში კოცონთან)

გაზისებრი გარსი, რომელიც მიწას თავდაპირველად გარს ეკრა, ჰელიუმისა და წყალბადისგან შედგებოდა. პლანეტის მრავალრიცხოვანი ვულკანები მეთანის, ამიაკის, გოგირდწყალბადის და ნახშირმჟავა გაზებს აფრქვევდნენ. ზედაპირზე წნევა რამდენიმე ათასს აღწევდა, წყალი მხოლოდ ყინულის სახით იყო. სიცოცხლის ნატამალი არ არსებობდა.

ამ დროს იუპიტერსა და მარსს შორის, მზიდან მეხუთე სარტყელზე, კატასტროფა მოხდა.

დაჯახებისაგან პლანეტა თიამატს საშინელი ღრიალი აღმოხდა, მაგრამ კოსმოსურ სიმფონიაში მისი ხმა არავის ესმოდა. უფრო სწორედ სიმფონია დაირღვა...

უზარმაზარი ნატეხების შეჯახებამ ძლიერი ატმოსფერული დინებები გამოიწვია. მიწის ზედაპირზე ტემპერატურამ იმდენად მოიმატა, რომ წყალბადის საბურველი დედამიწას სამუდამოდ მოსცილდა. გამღვალი გრანიტული ქერქი მის ქვეშ დაგროვილ გაზებს ზედაპირზე არ უშვებდა. მხოლოდ ხანდახან უზარმაზარი ჭავლის სახით ამოხეთქავდა მაგმაში ცუდად ხსნადი გაზები, _ ნახშირჟანგი, წყალბადი, მეთანი, ამიაკი. ამოხეთქის ადგილას რთულმა ორგანულმა ნივთიერებებმა იწყეს წარმოქმნა, რომლებიც ზედაპირზე ფენებად გროვდებოდნენ.

სხვა გაზებთან ერთად პლანეტის ქერქის ქვედა ფენიდან, აქამდე ყინულად მყოფი წყალი ორთქლად ამოიფრქვა ზედაპირზე და თხევადი სახით ღრმულებში იწყო ჩადინება. შეჯახებამ კოსმოსიდან სიცოცხლის რთული ორგანული ნივთიერებები მოიტანეს.

მალე ორგანულმა ნივთიერებებმა წყალში იწყო გახსნა.

შემოდგომის ბოლო დღეები იდგა. ბოლო თბილი დღეები: პირველი აცივების შემდეგ ცოტა ხნით რომ დათბება და მერე ისევ აცივდება. იცი, _ ზამთარი მოვა.

სარდაფშიც იმატა სიცივემ. მართალია მის ბინადრებს ეს იმდენად არ აწუხებდათ, რამდენადაც სიბნელე და არასასიამვნო ნესტი ისედაც მათი სამყარო იყო.

ძველი, კარადა, მაგიდა, სკამები ადრე რომ ზევით ცხოვრობდნენ ოთახებში, ამ სიბნელეს ვერ მიჩვეულიყვნენ. აბა, სხვა ბინადრებს რა უჭირდათ: პატარა თაგუნას, ტარაკნებს და სხვა ხოჭოებს ხომ ღმერთისგან აქვთ ბოძებული ასეთ გარემოში ცხოვრების უნარი.

სახლის ბინადარნი ხანდისხან ჩამოდიოდნენ სარდაფში. ხან ზამთრისთვის გამზადებული სანოვაგე ჩამოჰქონდათ შესანახად, ხან ეს გამზადებული სანოვაგე აჰქონდათ სახლში.

განსაკუთრებით ხშირად ორი ახალგაზრდა ჩამოდიოდა სარდაფში. ზოგჯერ ერთად ჩამოდიოდნენ, ზოგჯერ ცალ-ცალკე. რაღაცეებს საქმიანობდნენ. მერე აუცილებლად ჭიქას აწევდნენ და იწყებოდა სადღერგძელოები და საუბრები ცხოვრებაზე.

ძველ ხის მაგიდას, რომელიც ამ სახლის სარდაფში პირდაპირ პატრონის ძველი სახლის სარდაფიდან მოხვდა, ყველაზე უფრო ეს საუბრები მოსწონდა.

მას შემდეგ რაც ჩიტების ჭიკჭიკი აღარ ესმოდა, ქარი Aაღარ ეფერებოდა და წვიმის სასიამოვნო სისველეს ვეღარ გრძნობდა, ეს საუბრები ყველაზე უფრო სანუკვარი გახდა მისთვის.

კარგა ხანია ტყე თითქმის აღარც ახსენდებოდა. მოგონებები ისევ ამ საუბრებმა გააცოცხლეს.

`ბუნებას გაუმარჯოს!~ – თქვეს ყმაწვილებმა და გაახსენდა როგორ ჰქონდა გადგმული ფესვები მიწაში, როგორ აწვდიდა დედამიწა თავის სასიცოცხლო პატარ-პატარა ნაწილაკებს უწყვეტი ნაკადით, როგორ მიუყვებოდა სიცოცხლე მთელ ტანს, ყველა ღეროს გაივლიდა და ფოთლებამდე მივიდოდა. იქ კი მზე შეეგებებოდა.

მზე ის საოცრება იყო, რომელსაც ყოველდღე უმზერდა და მაინც ბოლომდე ვერ აღექვა, როგორ შეიძლება ამხელა ენერგია არსებობდეს. ბოლომდე ვერ გაეგო კი არა, საერთოდ ვერ გაეგო. უბრალოდ გრძნობდა, – ეს იყო უსაზღვრო ენერგია, რომელსაც მისი შეგრძნება მთლიანად ვერასდროს მოიცავდა. მზე ღმერთი იყო მისი.

ღმერთი, ეს სიტყვაც ყმაწვილებისგან გაიგო. თურმე ადამიანებსაც ჰქონიათ მისი მსგავსი შეგრძნება და მას ღმერთს უწოდებდნენ. ხან ქრისტეს ეძახდნენ. ეს მთლად ზუსტად ვერ გაიეგო. მგონი ქრისტე ღმერთის შვილიაო, ესე იგი მზის შვილი ყოფილა, რომელიც დედამიწაზე ჩამოსულა და ადამიანის სახე მიუღია.

ძალიან ადრე, როცა ჯერ კიდევ ხე არ იყო და დედამისის სხეულში ცხოვრობდა, დედამისის აღქმა იგრძნო. საოცარი რამ იყო: უამრავი დროის უამრავი შთაბეჭდილებანი. იქიდან იცოდა, რომ თურმე, ერთ დროს ადამიანები მათ, ხეებს, ეთაყვანებოდნენ.

ტყეში რომ ცხოვრობდა ადამიანებზე სხვა წარმოდგენის იყო. კიდეც მოსწონდა ისინი და კიდეც არა. ისინი ვერ ხვდებოდნენ ხესაც რომ ჰქონდა შეგძნება. რა თქმა უნდა ყველაზე არ ითქმოდა ეს, მაგრამ უმეტესობა ასეთები იყვნენ. მათი გამოჩენა ტყეში კილომეტრზე იგრძნობოდა. ისინიც კი, რომლებიც ეგონა სხვანაირი სითბოთი იყვნენ გამსჭვალული ტყისადმი, ცულს ისე მწარედ დაჰკრავდნენ მის თვალწინ ხეს, რომ მთელი სასიცოცხლო მოძრაობა ჩერდებოდა სხეულში.

მერე თავის თავზე გამოცადა ცულის დაუნდობელი, მწარე შეხება. როცა ცულმა თავისი საქმე დაამთავრა და ყველა სასიცოცხლო ხაზი გადაჭრა და მოცელელი მიწაზე დაენარცხა, იფიქრა მოვკვდიო, მაგრამ მალე გაუკვირდა, რომ აღქმა კვლავ გრძელდებოდა. მერე ყველა ტოტი დააჭრეს.

აუტანელი ტკივილი იყო, მაგრამ აღქმა კვლავ არ გამქრალა და მიხვდა აღქმის ადგილი სადღაც ღრმად შიგნით, ან შეიძლება სადღაც გარეთ იყო, ან შეიძლება იქაც იყო და იქაც.

მერე სადღაც წაიღეს. კიდევ მიჭრეს-მოჭრეს. ბევრ ნაწილად დაჭრეს, ისევ შეაერთეს და მაგიდა უწოდეს.

მალე ერთ-ერთ სახლში მოხვდა. არსებობა ნელ-ნელა შეიცვალა. ეტყობა აღქმაშიც რაღაც ეცვლებოდა, _ ახალი სამყარო აღიბეჭდა, რომელიც დედას არ ჰქონდა.

იმ ოჯახში სადაც მოხვდა პატარა ბიჭი, დედა, მამა და ბებია ცხოვრობდა. ოთახში საოცარი სიმშვიდე და სიწყნარე სუფევდა, მთელი დღის განმავლობაში. დილით ბებია გვიდა ოთახს. მერე მხხოლოდ კედლის საათი რეკავდა ყოველ ნახევარ და ყოველ ერთ საათში და რადიოს ხმა ისმოდა სამზარეულოდან. რადიოს ხმა და ქალების საქმიანობა. ხანდახან ბიჭი შემოირბენდა თამაშის დროს, უფრო სწორედ ოთახიდან ოთახში თუ ჩაირბენდა. მხოლოდ სადილობისას ცოცხლდებოდა ოთახი. ზუსტად 5 საათზე მაგიდაზე სასადილო სუფრა იშლებოდა. და როგორც კი საათი ხუთს ჩამოკრავდა კარი იღებოდა და იქიდან ოჯახის უფროსი, – მამა შემოდიოდა. ეს ცალკე კარები იყო, იქ მხოლოდ ოჯახის უფროსი შედიოდა და გამოდიოდა. ქალები დასალაგებლად თუ შევიდოდნენ მარტო. ბიჭს საერთოდ აკრძალული ჰქონდა იქ შესვლა.

ერთხელ ფორმიანი კაცები მოვიდნენ და ოჯახის უფროსი სახლიდან წაიყვანეს. ხუთი საათის სადილობა მერეც არ მოშლილა. მხოლოდ ის შეიცვალა, რომ ქალები სულ ქვითინებდნენ. ერთად-ერთი ბიჭი იყო კვლავ მხიარული. მხოლოდ ერთხელ მაინც იტირა, როცა ერთ-ერთი გარბენის დროს ფეხი დაუცდა და დამეჯახა, _ მაგიდის კიდეს ყვრიმალი ჩამოარტყა. სიმწრისაგან ჯერ ხმას არ იღებდა, მაგრამ მერე ცრემლებმა მაინც გამოჟონა და ტირილიც აუვარდა.

შემდეგ ის იყო: ერთ-ერთი სადილობის წინ, როცა ოჯახის მამა დიდი ხნის არ ყოფნის შემდეგ ისევ დაბრუნდა ოჯახში თმაგათეთრებული, ის კარები, საიდანაც ის გამოდიოდა სადილად, არ გაიღო. ცოტა ხნის ლოდინის მერე ბიჭი ადგა და კარები შეაღო.

_ მამა, მამა! – საშინელი ყვირილის ხმა გაისმა ოთახიდან.

ერთი პერიოდი მარტო მოგონებებით ცხოვრობდა და ისინიც ნელ-ნელა ქრებოდა ამ გაუთავებელ სიბნელეში. იმასაც კი ფიქრობდა, ასე დაძველებულს და გამოუსედაგარს, მასაც ის ბედი ეწეოდა რაც სხვა ძველ ფიცრებს: დაწვავდნენ.

აი ეს, ალბათ, სიკვდილი იქნებოდა...

ერთხელ ერთმა ყმაწვილმა უთხრა მეორეს, გინდა შენ მაგიდას რესტავრაციას გავუკეთებო.

და იმედი გაჩნდა...

ტომის ბელადი

გამოქვაბულის კედლებს ცეცხლი ანათებს,
მე და ჩემ ტომს ცეცხლი გვიცავს,
ცეცხლი გვიცავს და ცეცხლის ღვთაება,
აგნი გვიცავს გამოქვაბულის შემოსასვლელთან მომდგარ
ჯოჯოს ურდოსგან,
გამოქვაბულის მოხატულ კედლებზე ჯოჯოს ლანდები დათარეშობენ,
ცეცხლის ჩაქრობას ელოდებიან,
ცეცხლს ტომის ქურუმნი განაგებენ,
ცეცხლი არ ქრება, _ აგნი გვიცავს,
ამიტომაც წირავენ მას ტომის ქურუმნი თითო ქალწულს,
ზამთრის მიწურულს და შემოდგომის დასაწყისისას.

დილა თენდება და ჯოჯოხეთის მოციქულებიც სადღაც ქრებიან,
ჩვენ კი ნელ-ნელა შუბის ბუნის ალესვას ვიწყებთ,
და სანადიროდ მივეშურებით,
პირველ ნადირსაც, ნანადირევს, აგნის ვწირავთ,
ბომონზე სისხლი იღვრება შესაწირავი,
ტომი როკავს,
და ქურუმნი ცეცხლს ანთებენ
აგნის დიდების აღსავლინებლად, ჩემის ნებართვით...

ახლა კი ვზივარ სიბნელეში,
მხოლოდ კედელს, ოდნავ, ცეცხლის ალი ეთამაშება
ფეჩის პატარა ჭუჭრუტანიდან.

და დავეხეტები……



ჭეშმარიტი გზა გაჭიმულ ბაგირზე გადის,
რომელიც სიმაღლეზე კი არ არის გაჭიმული,
არამედ პირდაპირ მიწაზე.
მისი დანიშნულება ის უფრო არის,
რომ მასზედ წაიბორძიკო, ვიდრე მასზე გაიარო.

F. Kafka

ჩვენი ცხოვრება წამი კი არ არის,
"წამებისგან" შედგება და იმ ბოლო წამამდე მიგვათრევს.....

ვ. ტაბაღუა

მე, ჩემი და მაკა და საზაფხულო არდადეგები

(როცა ტყეში მოწყვეტილი ვარსკვლავების სუნი იდგა)

დიდი, წითელლაქებიანი შავი ხოჭო მხოლოდ სასიარულო სახსრებს ხმარობდა, ისე მიცოცავდა ბალახებს შორის. გადაწოლილი, გამხმარი ბალახი უსწორმასწორო ზედაპირს ჰქმნიდა, ამიტომ წინ დინჯად მიიწევდა. სახსრებად დანაწევრებული ფეხების მოძრაობა ტანს თითქმის სულ ერთ სიბრტყეში უნარჩუნებდა და ხან ერთ მხარეს ამოიწევდა სახსარში მოხრილი ფეხი ტანს ზევით, ხან მეორე მხარეს.

აქა-იქ ჭიანჭველები დაფუსფუსებდნენ. ირგვლივ, მჭიდროდ დასახლებულ ტერიტორიაზე, ზაფხულის ზანტი მუსიკა ისმოდა: კრაზანის ბზუილი, კალიების ჭრიჭინი, ხოჭოების ზუზუნი...

გვერდზე, ბაბუაწვერას ღეროს ძირში, მდედრი იგრძნო. ულვაშა საცეცებით შენიშნა, თორემ თვალს გაუჭირდებოდა მისი შემჩნევა, ისე გარინდულიყო და შერწყმოდა გარემოს.

მიუახლოვდა, თვითონაც მიაფრქვია უხილავი ფორომონები. მდედრმა შეცვალა კოდი, მამრისთვის უფრო სასიამოვნოთი უპასუხა. რამდენიმე გაცვლის შემდეგ ორივესთვის ნათელი იყო: შთამომავლობის გასაგრძელებლად ერთიც გამოდგებოდა და მეორეც, ჯანმრთელი გენების სურნელი იდგა.

მამრი ისე გაერთო, რომ მხოლოდ მდედრის ორგანიზმში ქიმიური ცვლილებებით იგრძნო _ მის უკან რაღაც ხდებოდა: მიტრიალდა და დაინახა, მეორე მამრი როგორ მოემართებოდა მათკენ, ეტყობა ისიც მდედრის სუნმა მოიზიდა. საკმაოდ მოზრდილი იყო. წითელი ლაქები უფრო ბაცი ჰქონდა, ვიდრე პირველს. `ვარდისფერლაქებიანი,~ _ გაიფიქრა, წამი დააყოვნა, ახლო მოუშვა და მოწინააღმდეგეს მყრალი, აგრესიული, უხილავი ნაკადი მიაფრქვია. მეტოქე შეჩერდა. წითელლაქებიანი მის წინწამოწეულ ძლიერ ყბას უკვე ნათლად ხედავდა. ბრძოლაზე დიდი ენერგია ეხარჯებოდა, რომელიც მერე ძნელი

აღსადგენი იყო და ბევრი კვება სჭირდებოდა, ამიტომ ყოველთვის ცდილობდა, გამაფრთხილებელი უფრო ძლიერი ყოფილიყო, ვიდრე ხოჭო ჩვეულებრივ აფრქვევს ხოლმე. ახლა გაფრთხილებისთვის საკმაოზე მეტი ენერგია დახარჯა, მით უმეტეს გვერდზე მდედრი ედგა და უთვალთვალებდა. მოწინააღმდეგემ იგრძნო, რომ ჩვეულებრივ შემთხვევასთან არ ჰქონდა საქმე _ უფრო ძლიერი ნაკადი მიაფრქვიეს. დაპირისპირების გაგრძელება აშკარად სახიფათო იყო, მდედრის სუნიც ისე გამაღიზიანებლად არ სცემდა და იქაურობას გაეცალა. სარბენი ფეხები აამუშავა, ჯერ ზედა ფრთები გაშალა, მერე წინა ააფრიალა, უკანაც მიახმარა და ზუზუნით გაფრინდა.

მერაბი მდელოზე იწვა, ნიკაპი პირდაპირ მიწაზე ედო. ამ სიმაღლიდან ირგვლივ ბალახების და ყვავილების ტყე იყო. თითქმის ხოჭოს დონეზე ადევნებდა თვალს მათ მოძრაობას. ხედავდა, როგორ მიმოდიოდნენ ბალახებში ჭიანჭველები საქმიანად, თავისზე დიდ ტვირთს რომ დაათრევდნენ. როგორ მიადგებოდნენ და მიაბჯენდნენ ერთმანეთს საცეცებს ხან ჭიანჭველები, ხან ხოჭოები და მერე ან სწრაფად სცილდებოდნენ ერთმანეთს, ან განაგრძნობდნენ საცეცებით ურთიერთობას... ბალახების ტყის წვეროებიდან უცებ რომელიმე ხოჭო გააკეთებდა პიკირებას, დაჯდებოდა მიწაზე და დინჯად გააგრძელებდა გზას, ხან რომელიმე მოსწყდებოდა მიწას და ზუზუნით გაფრინდებოდა. ხანდახან პეპელაც მოფარფატდებოდა... აქა-იქ, რომელიღაც ბალახის ღეროზე გარინდებული კალია მოწყდებოდა და უზარმაზარი ნახტომით სხვა ბალახის ღეროზე ისკუპებდა...

ზაფხულის მზე სასიამოვნოდ აცხუნებდა გარუჯულ კისერზე და მკლავებზე. თორმეტი წლის ბიჭისთვის საკმაოდ კარგად განვითარებული მხრები ჰქონდა. ეს დილაობით ვარჯიშის შედეგი იყო. ბიძამისმა, იპოლიტემ, ურჩია, დილით ივარჯიშეო. მერაბს ეზარებოდა, სად ეცალა ვარჯისთვის, მაგრამ ბიძამისს ხათრს ვერ უტეხდა. მერაბისთვის ბიძამისის სახელს რაღაც ძველბერძნული ღვთაების სახელის მნიშვნელობა ჰქონდა, ძლიერებისა და სიბრძნის ღვთაების. როცა წამოიზარდა, მერე წაიკითხა, რომ ბერძნულ მითოლოგიაში მხოლოდ სამი იპოლიტე იყო ცნობილი: პირველი, ამაზონების დედოფალი ჰიპოლიტე, მეორე, მისი შვილი ჰიპოლიტოსი და ერთიც ერთ-ერთი გიგანტი იყო (ალბათ ანუნაკების შთამომავალი).

იპოლიტემ ცალი ხელი მეორე მსოფლიო ომში “დაკარგა”. დარჩენილ ხელს ისე ოსტატურად ხმარობდა საქმიანობის დროს, რომ არ შეიძლებოდა აღტაცებაში არ მოეყვანე. წარმოიდგინე, მთლიან ვაშლს თლიდა ცალი ხელით, დანით, ისე, რომ ნათალი კანი არ წყდებოდა ისე დავარდებოდა თეფშზე ზამბარასავით. სხვამხრივაც განსხვავებული კაცი იყო ბიძამისი, გაცნობისთანავე განგაწყობდათ. მერაბთანაც თავისებური ურთიერთობა ჰქონდა, _ ბავშვობიდანვე ისე ეპყრობოდა როგორც კაცი კაცს. მერაბიც სულ იმის ცდაში იყო ბიძამისისთვის მიებაძა. სწორედ იპოლიტემ ურჩია ერთხელ დილის ვარჯიში.

მერაბის მამა დიპლომატი იყო და უმეტესად საზღვრგარეთ უხდებოდა მუშაობა. მერაბი თავისზე ხუთი წლით უფროს დებთან და დედასთან იზრდებოდა. დედა კეთილშობილი, რეპრესიებგამოვლილი გვარის შთამომავალი

გახლდათ და მერაბი ბავშვობიდანვე მიჩვეული იყო იმ განსხვავებულ ატმოსფეროს, როგორიც მხოლოდ ძველი გვარის ოჯახებში სუფევს.

_ მერაბ!.. მერაბ!.. _ ხმა შორიდან უახლოვდებოდა.

არ მოუხედია, მწერების და ყვავილების სამყაროს ვერ მოწყდა. მიხვდა, _ ვახო მორბოდა.

_ მერაბ ჩქარა, _ აქოშინებულმა მოირბინა ვახომ, _ ზურა და ბიჭები მოვიდნენ.

_ რა იარაღი აქვთ? _ იკითხა მერაბმა.

_ მარტო ხმლები ჰკიდიათ, მე მგონი მეტი არაფერი უნდა ჰქონდეთ, თუ გადამალული არ აქვთ.

მერაბს გაეღიმა და უცბად წამოხტა.

_ პაატა სად არის?

_ იქ გველოდება, _ ბიჭები უკვე ძველი შადრევანისკენ მირბოდნენ.

_ ვახო, ხმალაობისას არ დაგავიწყდეს ხაფანგისაკენ გატყუება ვინმესი, ოღონდ ფრთხილად იყავი შენ არ ჩავარდე ორმოში, _ ორივეს გაეცინა.

ძველ, უმოქმედო შადრევანზე ჰქონდათ შენახული `იარაღი~: ფარ-ხმალი და მშვილდ-ისარი.

ფარი და მშვილდი მერაბის და ვახოს იდეა იყო. `ბორჯომის~ ხისAყუთები დაშალეს და ფიცრები უფრო მჭიდროდ მიაჭედეს ერთმანეთს, სახელურებიც ხის გაუკეთეს. კარგი გამოვიდა. ბიჭებს მოეწონათ.

შეტაკების დაწყება ისრებით გადაწყვიტეს. ისრებს წვერზე ბამბა დაატანეს, ჩვრები შემოახვიეს და წვრილი კანაფით შეკრეს. `პატარა ინდიელებში~ ჰქონდათ წაკითხული: ვინმესთვის თვალი რომ არ დაგეზიანებინათ. ხაფანგიც მოიფიქრეს. შადრევანის ონკანისათვის, შადრევანიდან ცოტა მოშორებით, საკმაოდ დიდი მოპირკეთებული ორმო იყო ამოთხრილი. ონკანი გაუქმებული იყო, მაგრამ ორმო თითქმის ყოველთვის ნაწვიმარი წყლით იყო სავსე. გრძელი ბალახები გადააფარეს და ხაფანგიც შეუმჩნეველი გახდა.

პირველი შეტაკება სწორედ ამ ძველი შადრევნის ტერიტორიაზე უნდა მომხდარიყო. ორივე ბანაკს აქ უნდოდა შტაბი ჰქონოდა. შეტაკებას უნდა გადაეწყვიტა ვის დარჩებოდა ძველი შადრევანი.

შადრევანი ბიჭებზე მაღალი იყო და ზევიდან დიდი მრგვალი, ოდნავ ჩაღრმავებული თავი ჰქონდა. აწეული ხელებით ძლივს სწვდებოდნენ. ვახოს უფრო არ უჭირდა, მერაბზე მაღალი იყო. ფარები და მშვილდ-ისარი იქ ჰქონდათ შენახული. ჩუმად გააკეთეს და იქ გადამალეს, მოწინააღმდეგეს რომ არ მოეპარა იდეა. ცხადია, პირველი შეტაკების მერე მოწინააღმდეგესაც ექნებოდა ფარი და მშვილდ-ისარი, მაგრამ მერაბს კიდევ ჰქონდა მოფიქრებული ახალი `იარაღი,~ _ `მარგანცოვკის ბომბები.~ თბილისში, ეზოში მეზობლებს შესაშინებლად “უფეთქებდნენ” მერაბი და მისი მეზობელი ბიჭები. წამლის, ცარიელ, თავსახურიან პატარა ბოთლში ჩაყრი ცოტა რაოდენობით კალიუმის პერმანგანენტს, ჩაასხამ დაახლოებით იმავე რაოდენობის გლიცერინს, თავს მაგრად დაახურავ (თავსახური აუცილებლად ხრახნიანი უნდა იყოს) და რამდენიმე წამში ბოთლი სკდება. ჩქარა უნდა იმოქმედო, რომ ხელში არ გაგისკდეს და მოშორებითაც უნდა დადგე. ცოტა სახიფათო კი არის, მაგრამ მოხერხებულობა უნდა და ცოდნა.

სადარბაზოში ორ მოპირდაპირე მეზობელს ზარს დაურეკავდნენ, მასპინძლის კითხვაზე `ვინ არისო,~ რომელიმე მეზობლის სახელს ეუბნებოდნენ, გამზადებულ `მარგანცოვკიან~ ბოთლში გლიცერინს ჩაასხამდნენ, თავს დაახურავდნენ და კარებების წინ შუაში დგამდნენ. ბოთლი კარის გაღებისას "ფეთქებოდდა" და თუ ორივე მეზობლის კარის გაღება ერთდროულად მოხდებოდა ხომ სულ სხვა ეფექტი იყო. ატყდებოდა ერთი სიცილ-ხარხარი და შეშინებული მეზობლები სანამ გონს მოეგებოდნენ ბიჭები უკვე ეზოში იყვნენ გაფანტულები.

ვახოს გააცნო ეს იდეა და პრაქტიკულადაც აჩვენა. სანატორიუმის ტერიტორია მაღლობზე იყო. ქვევით ტრასა გადიოდა. მომავალი მანქანა რომ გამოჩნდა, მერაბმა "ბომბი" გაამზადა და ტრასაზე ისროლა. ისე დიდი სისულელე კი მოუვიდათ. "ბომბი" ზუსატად მანქანის წინ "აფეთქდა" და შეშინებულმა მძღოლმა ისე დაამუხრუჭა, რომ კინაღამ კლდეს შეასკდა.

_ ჩვენ თქვენზე ადრე ჩამოვედით, _ ისევ იგივეს არჩევდნენ, როცა ვახო და მერაბი პაატას და ზურას ბიჭებს მიუახლოვდნენ.

_ ეს ტარიტორია ჩვენ კორპუსთან უფრო ახლოა, _ იგივე არგუმენტს უმეორებდა პაატა.

_ ჯერ ერთი და მეორეც, _ საუბარში მერაბი ჩაერთო, _ თუ ასე გინდოდათ ჩვენ ჩამოსვლამდე გაგეკეთებინათ შტაბი.. ასე რომ, როგორც შევთანხმდით, _ ტერიტორია ბრძოლაში მოგებულს რჩება.

წაგების შემთხვევაში სხვა შტაბიც ჰქონდათ მოფიქრებული. მათი სანატორიუმის ტერიტორიის გვერდზე, ხშირ ხეებში ჩაფლული, ძველი პანსიონატის ნახევრად დამწვარი შენობა იყო. მერაბმა და ვახომ ერთად "დაზვერეს" ის ტერიტორია. შტაბისთვის შადრევანის ტერიტორიას შეიძლება ჯობდა კიდეც ძველი პანსიონატის ტერიტორია, მაგრამ შტაბზე კამათი გოგონების თანდასწრებით მოხდა და მერაბს არ უნდოდა ასე იოლად დათმობა, თან ვახოც გვერდში ჰყავდა.

ზურას ბიჭებს ხის მსხვილი ტოტებიდან გამოთლილი, საკმაოდ გრძელი ხმლები ეკიდათ. ხმლებით აშკარად სჯობდნენ. მერაბის ბიჭებს ფიცრის ბრტყელი და მოკლე ხმლები ჰქონდათ. ისე, რომაელებიც მოკლე ხმლებით იგებდნენ ბრძოლებს.

ვახო, მერაბი და პაატა თბილისელები იყვნენ. ზურას ბიჭებიდან ორი ძმა გორელი, ზურა თბილისელი და ერთიც ადგილობრივი, ბორჯომელი იყო. ისინი ოთხნი იყვნენ და ზურაც ყველაზე ტანმაღალი და წლოვანებითაც ერთი წლით უფროსი იყო. ასე რომ არათანაბარი ბრძოლა უწევდათ.

ცოტა ხანს კიდევ იკამათეს მზით გარუჯულმა, მოკლეშარვლიანმა ბიჭებმა (გრძელტოტიანი ჯინსები მარტო მერაბს და ზურას და ვახოს ეცვათ) და მერე დაიშალნენ. გადაწყდა, _ შეტაკება საღამოს ექვს საათზე დანიშნეს, სანატორიუმის 5 საათის ჩაის მერე.

მერაბმა ჩაი და ნამცხვარი თვალის დახამხამებაში გადაყლაპა და წამოსახტომად მოემზადა.

_ ასე ფაციფუცით ჩაის არავინ სვამს, _ მერაბის დას, მაკას ძმის აღზრდა თავის თავზე ჰქონდა რატომღაც აღებული. მოუტანდა წიგნს და ეტყოდა, _ `ბანანთევზას ამინდი~ წაიკითხე და მიხვდები რა მშვენიერია სამყარო.~ მერაბიც კითხულობდა, ოღონდ გვიან, როცა დაბნელდებოდა და ეზოდან ამოიყვანდნენ სახლში, თორემ დღის განმავლობაში სამყარო წიგნის გარეშეც საკმაოდ მშვენიერი ეჩვენებოდა.

_ ინგლისელები 5 საათის ჩაის ერთ საათს მაინც ანდომებენ, _ მაკა ნელა სვამდა ჩაის და ცდილობდა ძმისთვის რაც შეიძლებოდა მეტი შეგონება მოესწრო, სანამ მერაბი წამოხტებოდა და ტყეში გაიქცეოდა. თან ხანდახან, ვითომც არაფერიაო, კედელთან, კუთხეში მდგარ მაგიდისკენ გაიხედავდა. მერაბმა იცოდა საითაც იყურებოდა, _ იმ მაგიდასთან ვახოს ოჯახის წევრები ისხდნენ. სანატორიუმში ჭორაობდნენ ვახოს უფროს ძმას მაკა მოსწონსო.

_ დედა, წავედი, _ მერაბი მიხვდა მაკა კარგა ხანს არ დაამთავრებდა და წამოხტა. ვახოც წამოხტა. პაატა უკვე გარეთ ელოდებოდათ.

ფარები დაირიგეს, მშვილდები გადაიკიდეს, თან აქეთ-იქით იცქირებოდნენ ხომ არ გვითვალთვალებენო. ერთი, სათადარიგო ფარ-ხმალი შადრევანზე დატოვეს, _ ვისაც დასჭირდებოდა ის გამოიყენებდა.

შადრევანის ირგვლივ ბუჩქებში გაიფანტნენ.

სანატორიუმის პარკში სამი კორპუსი იდგა. ყველაზე ლამაზი პირველი იყო, შადრევანთან ახლოს, სადაც მერაბი და ვახო ცხოვრობდა. ძველი შენობა წიწვოვან პარკში რაღაც ზღაპრულად გამოიყურებოდა. გოგონებიც ამ კორპუსში ცხოვრობდნენ. პაატა მეორე კორპუსში, ხოლო ზურა და თავისი ბიჭები მოშორებით, _ მესამეში.

შადრევანის ცოტა იქით, შემაღლებულზე ფანჩატური მოეწყოთ. რუსები “ბესედკას”-ს რომ ეძახიან. მაკას და მის მეგობრებს იქ უყვარდათ ჩამოსხდომა და ლაპარაკი (“ბესედკა,” _ სალაპარაკო ადგილია, აბა რა), თან თავიანთ პატარა დებს, _ ჩვენ თანატოლ გოგონებს დაატარებდნენ. გოგონებს იქ ჯდომას ბიჭებთან თამაში ერჩივნათ და როგორც კი უფროსებს დაუსხლტებოდნენ მათთან გარბოდნენ სათამაშოდ.

სანატორიუმის, შემოღობილ პარკს ზევით ბორჟომის ხეობის ტყე იწყებოდა. ბავშვები იქ ხშირად დავდიოდით სათამაშოდ. სწორედ, ტყეში ერთ-ერთი ასეთი ხეტიალის დროს წამოიჭრა შტაბზე კამათი. ზურას აგრესიული კამათის მიზეზი, როგორც მერაბი მერე იხსენებდა, გოგონების იქ ყოფნა იყო.

მერაბის ტოლი სამი გოგო იყო: ეკა, ანნა და თეა. გოგოები, ვახო და მერაბი თითქმის ერთდროულად ჩამოვიდნენ დასასვენებლად. ოჯახებიც ერთმანეთს იცნობდნენ და ამიტომ ბავშვებიც ერთმანეთთან უფრო ახლო იყვნენ ვიდრე სხვები.

ეკა ქცევით თავის უფროს დას ნინიკოს ბაძავდა. ბიჭები, მერაბის გარდა, ყველა ეკაზე იყვნენ შეყვარებულები. ცისფერთვალება, ქერათმიანი, ლამაზი გოგო იყო.

ეკაც კარგად იყენებდა ბიჭებთან თავის უპირატესობას და აქეთ-იქით დაარბენინებდა მათ.

მერაბს ანნა მოსწონდა, მაკას დაქალის, რუსიკოს და. ანნასაც ეტყობოდა სიმპატიით იყო მერაბის მიმართ. მერაბს ეჭვი ჰქონდა, რომ ზურასაც ანნა

მოსწონდა. წაკითხული ჰქონდა ბერძნები ყველა დიდი ბრძოლის მიზეზად ქალს თვლიდნენ. ძველი შადრევნის ტერიტორიისათვის ბრძოლის მიზეზად მერაბი ანნას თვლიდა. ანნას ლურჯი თვალები ჰქონდა, მოწითალო თმა და ცხვირზე ჭორფლი.

მერაბმა ხმაური გაიგო. ბუჩქებიდან გამოიხედა და `ქალების~ მთელი ჯგუფი დაინახა: მაკა, ლიკა, რუსიკო და ნინიკო და გოგონები. `ესენიღა გვაკლდნენ,~ _ გაიფიქრა, _ `დასხდებიან ახლა `ბესედკაში~ და ჩაგვიშლიან ყველაფერს.~ თან გული აუძგერდა იმის გაფიქრებაზე, რომ ანნას თვალწინ მოუწევდა ბრძოლა. ახლა ვერაფრით ვერ შეცვლიდა სიტუაციას. ბრძოლებში ხშირად ხდება გაუთვალისწინებელი სიტუაციები.

`ქალები~ შემაღლებულზე ფანჩატურში ჩამოსხდნენ და საუბარი გააგრძელეს. გოგონები თვალებით ბიჭებს ეძებდნენ.

დრო ნელა გადიოდა.

_ პაატა!.. პაატა!.. _ გაისმა პაატას დედის ხმა.

`არ მიგვატოვოს~, ერთი გაფიქრება გაიფიქრა მერაბმა, თანაც დარწმუნებული იყო პაატა არ წავიდოდა.

_ გოგოებო პაატა ხომ არ დაგინახავთ? _ გამოსძახა სკამზე მსხდომებს პაატას დედამ.

`ქალებმა~ უპასუხეს ბიჭები სადღაც გაჰქრნენო, საერთოდ არ ჩანანო. მერაბს მოეჩვენა ანნა თვალებით მას ეძებდა.

პაატას დედა წავიდა.

ირგვლივ სიჩუმე იყო. მხოლოდ ზევიდან ისმოდა საუბრის ხმა და დროგამოშვებით სიცილი. რა თქმა უნდა მთავარ როლში მაკა იყო.

უცებ პაატას სტვენის ხმა გაისმა: სამი მოკლე, ჩიტის სტვენის მსგავსი ხმა. ასე მარტო პაატა უსტვენდა. ეს პაროლი იყო, ესე იგი ისინი გამოჩნდნენ. როგორც შევთახმდნით ათამდე დავითვალეთ, სამივე ბუჩქებიდან ერთდროულად გამოვხტით, ყიჟინა დავეცით და მოწინააღმდეგეს ისრები დავაყარეთ.

ფარებით, ხმლებით და მშვილდ-ისრებით დახუნძლული ბიჭების დანახვაზე `ქალები~ ისე დაიბნენ, რომ სიტყვა პირში შეაშრათ და შადრევანისკენ გაოგნებული იყურებოდნენ, _ აი, თურმე სად გამქრალან!

ზურას ჯგუფსაც ისე მოულოდნელად დაატყდა თავს ყიჟინა და ისრები, რომ ადგილზე გაშეშდნენ და ისრის აცილებასაც კი ვერ ახერხებდნენ. რამდენიმე ისარი აშკარად მოხვდა მიზანში, მაგრამ ამას ნაღდად არ ჩაუთვლიდნენ იცოდა მერაბმა. ატყდებოდა ტყუილად ჭიჭყინი და ამიტომ ხმაც არ ამოუღია და არც პაატას აჰყვა ისარი მოგხვდაო რომ იძახოდა.

გაოგნებულ მოწინააღმდეგეს ხმლით ეკვეთნენ და ბრძოლაც დაიწყო. `ქალებიც~ გამოცოცხლდნენ, გოგოები ფეხზე წამოშლილიყვნენ.

მერაბი ზურას მიეჭრა. ვახომ გორელი ძმები აიღო თავის თავზე. პაატა ბორჯომელს ეკვეთა და თან უმტკიცებდა ისარი მკერდში მოგვხდა და მკვდარი ხარო.

პირველი გაოგნების შემდეგ მოწინააღმდეგე გონს მოვიდა და ისე ძლიერად შემოუტიეს, რომ მერაბის ბიჭებს საკმაოდ უკან დაახევინეს. ფარებმა დიდი როლი შეასრულეს, მაგრამ ეტყობოდა დიდხანს ვერ გაუძლებდნენ ხის მსხვილი ტოტის ხმლების დარტყმებს. მერაბი უკვე ფიქრობდა უკან დახევა ზურას ხაფანგთან მიტყუებაში როგორ გამოეყენებინა, _ ზურას ბრძოლიდან გამოთიშვა მოგებას ნიშნავდა.

ამ დროს ვახომ იყვირა:

_ მერაბ!.. ფარი დამემტვრა... შემომეშველე...

მერაბმა მოიხედა და დაინახა როგორ ცდილობდა ვახო შემომტვრეული ფარის სახელური მეორე ხმლად გამოეყენებინა ორი მებრძოლის წინააღმდეგ. ვახო რომ დაეჭრათ ბრძოლას აღარაფერი გადაარჩენდა.

მერაბმა უკან დაიხია, ზურას ცოტათი მოსწყდა და ვახოს დაუძახა:

_ ვახო, აქეთ! ფარი დაიჭირე! მე იმას ავიღებ...

ვახომაც უკან დაიხია, დამტვრეული ფარის სახელური ძმებს ესროლა და მერაბს ფარი გამოართვა. მერაბმა ვახოს თვალი ჩაუკრა და შადრევანისკენ გაიქცა.

შადრევანისკენ გაქცევა ცოტათი რისკი იყო. ზურა რომ არ გაკიდებოდა და გორელებს დამატებოდა, ვახოს წინააღმდეგ, ვახო ნამდვილად ვერ გაუძლებდა. მაგრამ მერაბი არ მოტყუვდა. ზურას არც უფიქრია ვახოზე თავდასხმა, იმ წამსვე მერაბს გაეკიდა, _ ზურა მერაბს თვლიდა თავის მეტოქედ.

რა თქმა უნდა ხაფანგის მიმართულებით მირბოდა. ისიც მოასწრო ანნასკენ გაეხედა. მის თვალებში წამით შიშიც კი დაინახა ან მოეჩვენა რომ დაინახა...

ხაფანგს რომ მიუახლოვდა ოდნავ შეანელა ტემპი, მოიხედა ზურა ფეხდაფეხ მოსდევდა. მერაბმა ნაბიჯები მოზომა და ხაფანგს გადაახტა. ხრიკმა გასჭრა, _ ის იყო შადრევანს ხელები ჩასჭიდა, აიწია და ფარი ჩამოიღო, რომ ზურგს უკან წყალში ზღართანის ხმაც გაიგო. ელვის უსწრაფესად მოტრიალდა: ზურა ორივე ფეხით ორმოში ჩავარდნილიყო და მიწაზე იჯდა. `ორივე ფეხით როგორ მოახერხა?!~ _ მერაბს გულში გაეცინა და იმ წამსვე ხმალი ზურას მკერდში ატაკა.

_ მოგკალი! _ ხმამაღლა დაიყვირა მერაბმა და ბიჭებისკენ გაიქცა, დასხმარებლად.

პაატას თავის მეტოქესათვის უკვე მოევლო, ახლა ვახოს ეხმარებოდა და ერთი ძმაც უკვე დაეჭრათ.

გაოგნებულმა ზურამ ის იყო ჭიჭყინი დაიწყო: `ასე არ ითვლებაო,~ რომ ამ დროს ზევიდან `ქალების~ ოვაციები გაისმა. ეს უკვე გამარჯვება იყო. მოწინააღმდეგე დანებდა.

გორაკიდან გოგოები დაეშვნენ.

ყველაზე უფრო ვახომ იზარალა. მარცხენა მტევანზე ჯოხისაგან წითელი ზოლი აჩნდა. ასევე აჩნდა ბარძაყზე, მაგრამ ძალიან კმაყოფილი ჩანდა და ეკას წინაშე თავს იწონებდა.

_ რამე ხომ არ იტკინე? _ ანნა გამარჯვების სიხარულს ვერ მალავდა და თანაც სერიოზულად ათვალიერებდა მერაბს, რაიმე ნატკენი ხომ არ ჰქონდა.

ამ დროს ზურაც მოუახლოვდათ. შარვალი მთლიანად სველი ჰქონდა.

_ ასე არ ითვლება, _ ისევ დაიწყო, _ ფეხი დამიცდა და მაშინ დამჭერი...

მერაბი წამოენთო.

_ ბიჭო!.. ფეხი დაგიცდა კი არა სპეციალურად დაგებულ მახეში შეგიტყუე... რა არ ითვლება?!..

_ ვინ არის შენი ბიჭო, _ ზურამ იცოდა, რომ სამართლიანად წააგეს და მიზეზს ეძებდა საჩხუბარს, _ მე შენ გაჩვენებ ვინ არის შენი ბიჭო...

ზურამ მერაბს ხელი ჰკრა. მერაბმა თავი ვერ შეიკავა და რომ არ წაქცეულიყო ერთი ნაბიჯის უკან გადადგმა მოუწია. ხელის მოქნევაც ვერ მოასწრო. იგრძნო როგორ დაიჭირეს უკნიდან, _ `ქალებსაც~ მოესწროთ ჩამოსვლა და შუაში ჩადგნენ.

_ აბა, რა ამბავია! _ მაკამ იმწამსვე ჩაიგდო ინიციატივა ხელში, საუკეთესო შემთხვევა იყო აღმზრდელობითი მუშაობის ჩასატარებლად, _ თქვენ რა, თამაში არ იცით? როგორ ახერხებთ ბიჭები ყოველთვის თამაშის ჩხუბში გადაზრდას? ჯერ ერთი და მეორეც, მამაკაცს წაგებაც ღირსეულად უნდა შეეძლოს. აბა, რა გაქვთ საჩხუბარი? დღეს ესენი მოიგებენ, ხვალ თქვენ.

მაკას რუსიკო, ლიკა და ნინიკოც შეუერთდნენ და იმდენი მოახერხეს რომ მერაბი და ზურა შეარიგეს და ზურა ისე გაუშვეს სახლში შარვლის გამოსაცვლელად.

მოგვიანებით, უკვე შებინდებულზე, ბავშვები `ბესედკაში~ ისხდნენ. მარტო ზერა არ იყო.

სანატორიუმიდან მუსიკა ისმოდა: `ბითლზების~ პერიოდი იყო. მაკა, ლიკა, ნინიკო, რუსიკო და ვახოს ძმა პირველი კორპუსის ფოიეში ისხდნენ და საუბრობდნენ.

ბავშვები დღევანდელ ბრძოლაზე ჰყვებოდნენ. ეკა არავის არ აცლიდა ლაპარაკს: ხან მერაბის გამოგონებებს აქებდა, ხან ვახოს და პაატას ყოჩაღობას. მხოლოდ ანნა და მერაბი ისხდნენ ჩუმად: საოცარ ახლობლობას გრძნობდნენ. ანნა ამაყი იყო. მერაბს საერთო საზეიმო განწყობას, ცოტათი, ზურას უპასუხო ხელის კვრა უფუჭებდა. ანნა ფიქრობდა, რომ არც ისე პატარები იყვნენ, როგორც მშობლები თვლიდნენ. მერაბიც ასე ფიქრობდა.

ირგვლივ კი...

ირგვლივ ხან მიწასთან ახლოს, ხან ცოტათი უფრო მაღლა მამრი და მდედრი ციცინათელები სიყვარულის ნიშნად ერთმანეთს ნაწყვეტ-ნაწყვეტ უგზავნიდნენ ლუმინენსენციურ ნათებას და მრავალი მოციმციმე ვარსკვლავივით ანათებდნენ გარემოს...

ზუგდიდი, მარინა

ზუგდიდი. საზაფხულო არდადაგები. მე-6 კლასიდან გადავდივარ მე-7-ში. როგორ გამოვიყურებოდი: ჯინსები, დიდბალთიანი სქელი ქამარი, "ბატენის" პერანგი, შტატების ავიაციის "მაკარტები" (ახლა "რეიბანებს" რომ უძახიან), ჟღალი თმა და ჭორფლები. (ეტყობა მაგიტომ არ ევასებოდა ჩემ დას "ჟღალთმიანები" და

ჭორფლიანები).

დედაჩემი და მამაჩემი, ედინბურგის მერის მიწვევით, ედინბურგის ფესტივალზე გაემგზავრნენ სტუმრად. ჩვენ სოფელში გაგვამწესეს ბებიასთან.

ბიძაჩემმა, იპოლიტემ, მხთოვა, სანამ ბებიასთან წავიდოდი სოფელში (ორულუ), „დასასვენებლად", მასთან დავრჩენილიყავი, ერთი კვირით.

სოფელი ორულუ ("ორულუ" სარბენალს ნიშნავს). ძველად აქ დოღი იმართებოდა. ჩვენი უზარმაზარი ეზოს პირდაპირ, ქუჩის გადაღმა, დიდი მინდორი იყო, სადაც ძველად მოჯირითეები იკრიბებოდნენ და ალბათ, ცხენბურთსაც თამაშობდნენ.

მე-15 საუკუნეში, ერთ-ერთი ბრძოლის შემდეგ, დადიანს მაქაცარიებისთვის, გამოჩენილი ვაჟკაცობისთვის აზნაურობა უბოძებია (მაქაცარია დედაჩემის გვარია).

ბაბუაჩემი (ეტყობა სისხლში ჰქონდა) ნებისმიერ ცხენს გახედნიდა. მასთან მოყავდათ თანასოფლელებს “რთული” ცხენი, გასახედნად... სოფელში

გამორჩეული კაცი იყო ბესა.

დედაჩემი და მამაჩემი, ედინბურგის მერის მიწვევით, ედინბურგის ფესტივალზე გაემგზავრნენ სტუმრად. ჩვენ სოფელში გაგვამწესეს ბებიასთან.

ბიძაჩემმა, იპოლიტემ, მთხოვა, სანამ ბებიასთან წავიდოდი სოფელში (ორულუ), „დასასვენებლად“, მასთან დავრჩენილიყავი, ერთი კვირით.

სოფელი ორულუ (”ორულუ” სარბენალს ნიშნავს). ძველად აქ დოღი იმართებოდა. ჩვენი უზარმაზარი ეზოს პირდაპირ, ქუჩის გადაღმა, დიდი მინდორი იყო, სადაც ძველად მოჯირითეები იკრიბებოდნენ და ალბათ, ცხენბურთსაც თამაშობდნენ.

მე-15 საუკუნეში, ერთ-ერთი ბრძოლის შემდეგ, დადიანს მაქაცარიებისთვის, გამოჩენილი ვაჟკაცობისთვის აზნაურობა უბოძებია (მაქაცარია დედაჩემის გვარია).

ბაბუაჩემი (ეტყობა სისხლში ჰქონდა) ნებისმიერ ცხენს გახედნიდა. მასთან მოყავდათ თანასოფლელებს “რთული” ცხენი, გასახედნად... სოფელში გამორჩეული კაცი იყო ბესა.

დავბრუნდეთ ბიძია იპოლიტესთან.

მთელ ძმისშვილებში და დისშვილებში (13-ნი ვიყავით, ყოველ ზაფხულს ბებიასთან სოფელში ვიკრიბებოდით ყველა, რა ჟრიამული იყო!) იპოლიტეს ფავორიტი მე ვიყავი. ჩემთვის ბიძებში, – იპოლიტე.

მიყვარდა ბიძია იპოლიტესთან სტუმრობა. ზუგდიდის გარეუბანში ცხოვრობდა, ჩაის პლანტაციებთან. ისე, ზუგდიდისთვის გარეუბანი არათბილისური გაგებითაა. ჩაის პლანტაციებიდან ბიძაჩემის სახლამდე და ბიძაჩემის სახლიდან ხუთას მეტრში ქალაქის ერთადერთი სასტუმრო იდგა, (დირექტორი იპოლიტე მაქაცარია) იქიდან ას მეტრში ზუგდიდის ცენტრი, ბუჩქებში და ხეებში ჩაფლული ლენინის ხელგაწვდილი ძეგლით და ორას მეტრში დადიანების პარკი და სასახლე.

გააღებდი ჭიშკარს ბიძია იპოლიტესთან და ნაირ-ნაირ ყვავილებიან ზღაპრულ ბაღში აღმოჩნდებოდი. ბაღი ჩემმა ბიძაშვილებმა, დალიმ, ლორამ და მედიკომ და ლუბა ბიცოლამ გააშენეს. ეზოში დიდი ორნაწილიანი სახლი იდგა, იპოლტეს აშენებული. თავის ვაჟს იხმარებდა, თემურის. (მთელი ცხოვრება აშენებდა, სულ უმატებდა და უმატებდა და გახდა ორ ნაწილიანი). სახლის ამ ორი ნაწილის შუაში შიდა ეზო და შიდა ეზოში აუზი იყო, სავსე საკერძე თევზებით. ჩაყოფდი აუზში პატარა სახელურიან ბადეს, ამოაგდებდი თევზს, ლორა უცბად შეწვავდა და იპოლიტეს განთქმული არაყი, – მხსლის, 70 გრადუსიანი და არაჩვეულებრივი გემოს. ნარდის თამაშიც იქ შიდა ეზოში გვიყვარდა. ნარდი, მაღალ დონეზე, იპოლიტემ მასწავლა. თვითონ ჩემპიონი იყო, ვერავინ ვერ უგებდა.

ბიძაჩემის ქუჩაზე სულ ორი გოგო იყო შესამჩნევი.

ერთი, სიმპატიური, ქართველი ანუკ ემე, ზუგდიდელი (ნანული), მაგრამ ჩემი უფროსი დის ტოლი და ვერ ვუბედავდი. მეორე, ჩემი ტოლა, მოვწონდი, მე არა.

მაგრამ იმ ზაფხულს...

იმ ზაფხულს, იმ დღეს, დილით, ცოტა ადრე გამეღვიძა. სახლში სიწყნარე სუფევდა, ყველას ეძინა. აივანზე გამოვედი. მზე ახალი ამოსული იყო. ჩიტები ჭიკჭიკებდნენ და ხანდახან, შორიდან ავტომობილის ხმას თუ გაიგონებდით. მშვიდი, გრილი, ზაფხულის დილა იყო.

მეზობლის სახლს გადავხედე, ერთსართულიან ხის სახლს. სახლები ძალიან ახლო იდგა ერთამანეთთან. იქ, ერთი რუს-ქართველა "ბაბუშკა" ცხოვრობდა. ბავშვობიდან ძალიან ვუყვარდი. ხან "პრიანიკებით" მომიკითხავდა, ხან "ბლინებით"...

უცებ მეზობლის კარი გაიღო, პატარა ლამაზმა გოგომ კიბე ჩამოირბინა, ონკანთან მივიდა, სახეზე წყალი შეისხა, ისევ უკან დაბრუნდა, კიბის

საფეხურზე ჩამოჯდა და გარემოს დაუწყო თვალიერება.

ეტყობოდა დიდი ხანი არ იყო ნამყოფი ამ არემარეში. მეც, აქ ვინმე, "ბაბუშკას" გარდა არასოდეს მენახა. ცოტა ხანს ათვალიერა, ზევით არც ამოუხედია, წამოდგა და ისევ კარს მიაშურა. გაშეშებული ვიდექი და როცა პატარა ლამაზი გოგო გაუჩინარდა, რაღაც თბილი და სასიამოვნო ჩამეღვარა გულთან.

ერთხელ ასე მომივიდა ლიკანში.



ლიკანში ყოფილხართ? არა სოფელ ლიკანში კი არა, ცეკას მე-4 სამმართველოს სანატორიუმში. მიხეილ რომანოვის სასახლე.

რომანოვების სასახლე. ზღაპრული პარკი. ბავშვობიდან მიყვარდა ამ ბაღში მარტო ბოდიალი (თითქმის ყოველ წელს ერთი თვით, ზაფხულში, ლიკანში ვისვენებდით, ხან ზამთარშიც). ერთხელაც ასეთი ბოდიალის შემდეგ ჩემ კორპუსში ვბრუნდები. მოვიხედე და შორიდან ულამაზესი ქმნილება (მამაჩემის ძმაკაცის მეგობარი ქალი) მიახლოვდება. გავშეშდი.

კომპლიმენტის თქმა მინდოდა (უკვე დიდი ვარ), მაგრამ გამიშრა სიტყვა და ისე ჩამიარა ულამაზესმა ქალბატონმა, რომ ხმა ვერ ამოვიღე. შეამჩნია და დავინახე როგორ ჩაეღიმა.

ერთიც ლიკანზე.

ჯერ სკოლაში არა ვარ (4 წლის ვარ). (ისევ მე-4 სამმართველოს სანატორიუმი). პარკში ბოდიალის შემდეგ ვბრუნდები. სადილის დროა. მოკლე შარვალი, თავზე პანამა, თუ რაღაც (ბავშვს მზემ არ დაკრას). სასადილო კორპუსთან მოვედი და ღია ფანჯარაში ჩემი სიმპატია გამოჩნდა, _ ჩვენი მაგიდის "ოფიციანტკა", სიმპატიური გოგო, თეთრ წინსაფარში და თეთრ თავწასაკრავში. ისე გამიხარდა, რომ თვალი ჩავუკარი. მერე სანატორიუმში იცინოდნენ და "კაიფობდნენ," _ ოი, ეს რა გაიზრდებაო.

დავბრუნდდეთ ზუგდიდში.

როცა ზუგდიდში დავრჩი ბიძაჩემთან, სახლში აღმოვაჩინე, კონიაკის ასგრამიანი ბოთლებით სავსე ორი ყუთი (ჩვენი და სომხური კონიაკები: "ენისელი", "გრემი", "ვარციხე", "ჰობელაქანი", "ანი", "არარატი", "ახტამარი"...). დილით ჩავურტყამდი ერთ ბოთლს (სომხურიდან დავიწყე, ჯობია ჩვენსას და რა ვქნა), "ჩავიშმოტკებოდი" და გავდიოდი უბანში ბიჭებთან. როცა ჩამოვედი მარტო ბაჩას, აი, მე რომ მოვწონდი, იმ გოგოს ძმას, ვიცნობდი (ჩვენგან მესამე სახლში ცხოვროდნენ, მეორეში Aნოუკ Aიმეე). მერე, ბაჩასგან სხვა ბიჭებიც გავიცანი, დავძმაკაცდით. ერთად ვეწეოდით სიგარეტს ჩუმად, ფეხბურთს ვთამაშობდით პლანტაციებთან, "ჯოკერს" ვთამაშობდით...

იმ დილას უბანში ახალი ამბავი დამხვდა, _ "ბაბუშკასთან" სოხუმელი ნათესავები, ოთხი და სამუშია ჩამოსულიყო. ბიჭები ერთმანეთს არ აცლიდნენ გოგოების სილამაზეზე ლაპარაკს. ორი დღით სხვა ბიძას, შოთა აბულაძეს, ვსტუმრობდი (ძმაკაცები იმ ქუჩაზეც მყავდა). აი, თურმე რატომ არ მინახია როდის ჩამოვიდა ჩემი პატარა ლამაზი გოგო.

შოთა აბულაძის დედა, მელანია მამიდა, მამას მესამე შთამომავლობის ბიძაშვილად ეკუთვნოდა. ოჯახის უფროსი, ერასტო აბულაძე, მეფის რუსეთის არმიის კავალერიის "ეფრეიტორი" იყო. ქეიფებში თავის ეპოლეტებიან მუნდირს იცვამდა და საომარ ხმალს ჩამოიკიდებდა. ქეიფში იცოდა ადგებოდა ხმლის ტარს ხელს წაავლებდა და "აიტ" დაიძახებდა. ჩვენთვის ბიჭებისთვის ამ ხმლის ხელში დაჭერა დიდი პატივი იყო და ყველას არ ჰქონდა ეს პატივი. მელანია მამიდა "ბოინში" მუშაობდა. "მელანიას კუპატები" მთელ ზუგდიდში განთქმული იყო.

შოთა ბიძიას და, თალიკო დეი (ე.ი. დეიდა) სოხუმში გათხოვდა. სიძე, _ შალიკო მამარდაშვილი. მე და შალიკო ბიძია ძმაკაცები ვიყავით. მათი სახლი ჩვენი ოჯახის ნავსაყუდელი იყო სოხუმში.

ერთხელ მე და ფაცო (ფარსმან გაბაძე, ჩემი რაგბისტი ძმაკაცი), ჩემი მანქანით, ლიძავაში, ფაცოს „სიყვარულთან“ წავედით. ჩემი სიყვარული ბიჭვინთაში ისვენებდა. კარგი კომპანია დაგვხვდა. დილამდე დრო ვატარეთ, თავის ღამის ბანაობებით და შამპანურებით. დილით გადაწყადა დასვენება. მე რა დამასვენებდა. ფაცოს შემხედვარეს ბიჭვინთაში მომინდა. გამოვიპარე ჩავხტი მანქანაში და “დავგაზე.” (უკვე „09“ მყავს, საბჭოთა „პორშე“). მაგრამ ისეთი მთვრალი ვარ, რომ შუა, გზისგამყოფ თეთრ ხაზს დავადექი, გზას არ ავცდე. გადავწყვიტე, შალიკო ბიძიას შევუვლი, გამოვიძინებ და მერე წავალ ბიჭვინთაში. მივედი. შალიკო ნასვამი დამხვდა სუფრასთან. ეტყობა ძმაკაები ნაბახუსევზე ამოვიდნენ და წავიდნენ. ჩემი მისვლა გაუხარდა და აბა დავლიოთო. ისე გაუხარდა, რომ ხათრი ვერ გავუტეხე და დავლიეთ. არ მიშვებდა. თალიკო დეი და ბიჭები, ზურა, გია, და “კაკანა” (ჩემმა დამ შეარქვა) “ეხმარებოდნენ”. (ზურა და გიამ, პირველი დღიდან ბოლო დღემდე, გამოიარეს “სოხუმის” ომი). გამოვეპარე და..

მანამდე, - ზურა მამარდაშვილმა იცოდა თქმა, ხომ არის ის გამონათქვამები, - одесса мама, ростов отец, და ეგეთი რაღაცეები და ზურა ამატებდა, - сухуми город без фраеров.

ისევ ზუგდიდი

ბიჭები მალე მივატოვე და სახლში წამოვედი.

“ბაბუშკას” ჭიშკართან “სკამეიკაზე” მხარული “კომპანია” დამხვდა.

ზუგდიდში თითქმის ყველა ჭიშკართან, პალმებ ქვეშ, ერთმანეთის მოპირდაპირე მხარეს, ბაღის სკამები დგას. განსაკუთრებით ქალებს უყვართ აქ ჩამოსხდომა.

“მხიარული კომპანია,” _ ჩემი დები, ბიძაშვილები, ანუკ მე და სამუშიები. გამაცნეს: უფროსი ნანული, ჩემი დის ხელა, მარინა, ირინა, და ელზა. ჩემი ლამაზი გოგო მარინა ყოფილა. ნანულისთან ეგრევე დავძმაკაცდი (ჩემი დის დაქალებისგან, უფროსკლასელებისგან, ვიყავი მიჩვეული), მარინა და ირინასგან სიმპატიები ვიგრძენი, ელზა ძალიან პატარა იყო (ელზას “ბაბუშკას” სახელი ერქვა).

ყველაფერი შეიცვალა.

დილით სომხურ კონიაკს ჩავარტყამდი (ჯობდა ჩვენსას!), ჯინსები, “ბატენი,” “მაკარტები” და ჩვენ ჭიშკართან ჩამოვჯდებოდი, ველოდებოდი როდის ჩამოჯდებოდნენ თავის ჭიშკართან გოგოები. ბიჭებთან სიარულს თავი დავანებე. ჯერ მიგზავნიდნენ პატარა ბიჭებს ფეხბურთი უნდა ვითამაშოთო, მოდიო (კუთხურს ვაწვდიდი დათუნაშვილივით, “კრუჩონს”). მერე იმათაც თავი დამანებეს. ერთხელ ჩემი ძმაკაცის დამ, აი, მე რომ მოვწონდი, მითხრა ბიჭები აღრენილი არიან შენზე, უნდა ვცემოთ ის თბილისელიო და ფრთხილად იყავი, ყველას მარინა მოსწონს იცოდე, ჩემი ძმა ძლივს აკავებსო.

მერე ესეც შეიცვალა.

მარინა უკვე მარტო გამოდიოდა ჭიშკართან.

და...

და ვსეირნობდით...

ვსეირნობდით ჩაის პლანტაციაში, დადიანების პარკში...

წვიმაში ქუჩაში დავრბოდით,

და მერე გალუმპულები ერთმანეთს ვეხუტებოდით პლანტაციაში, ხის პატარა ქოხში... პირველად ჩაის პლანტაციაში, იმ პატარა ხის ქოხში ვაკოცე.

ჩაის პლანტაციაში, ფიცრულ ქოხში, ნახევრად ჩაბნელებულში. მარტო ღრიჭოებიდან რომ შემოდის მზის წვრილი სვეტი. მარტო ვართ, არავინ არ

გვხედავს და ერთმანეთთან გვიზიდავს სიყვარული და მერე რა, რომ სველი გვაქვს სამოსი, და მერე რა რომ ჯერ პატარები ვიყავით... (მე “Led ZeppeLin” მიმღეროდა თავში “What Is And Should Never Be”).

მერე, დილაობით პირდაპირ იქ ვხვდებოდით...

საღამოს გვიანობამდე ჭიშკართან ვისხედით... ღამე ერთი სული გვქონდა როდის გათენდებოდა...

მერე...

მერე მშობლები ჩამოვიდნენ შოტლანდიიდან. დედამ სოფელში წაგვიყვანა, ბებიასთან. მარინას ვერც დავემშვიდობე, სადღაც გასულან დები. როცა სოფლიდან დავბრუნდით ისინი უკვე სოხუმში წასულიყვნენ.

სოხუმშიც ვეძებე, მაგრამ “ბაბუშკამ” მისამართი არ იცოდა, გაკითხვით ვერ ვიპოვე, შალიკო ძიასთან მომერიდა მეთხოვა, არა და მიტუშა ხურცილავას “кровный” ძმა იყო. დურუ ხურცილავას უფროსი ძმის. რას ვერ იპოვიდა.

წლების მერე, მოსკოვში რესტორანში, ელზას შევხვდი. ვერ ვიცანი, თვითონ მიცნო.

მარინა გათხოვდაო.

მერე...

მერე ჩემმა ძმაკაცმა, აი, მაგის დას რომ მოვწონდი, ციხეში თავი ჩამოიხრჩო. (“თავანი” ვერ გადაიხადა).

სოფელში ბებია გარდაიცვალა. სოფლის მამული დაცარიელდა.

“ბაბუშკაც” გარდაიცვალა. არ ვიცი მარინა ჩამოვიდა, თუ არა...

ბიძია იპოლიტეს სახლი დაეწვა, სულ ჩაიფერფლა. ვერ გადაიტანა, გულმა ვერ გაუძლო, გარდაიცვალა.

ცისფერთვალება, მწვანეთვალება და თაფლისფერთვალება... და ჩვენ

(მარიამ შენთვის ვწერ, მერე იმათაც წააკითხე)

დილით ცისფერთვალებას მკლავებში ჩამიწვენდნენ და “გამომაგდებდნენ,” _ გაასეირნეო.

ხიდის შესავლელსაც კი ვერ გავცდებოდი (გალკტიონის ხიდი, მტკვარზე გადახედვა მიყვარდა ხიდიდან.) შემომეფეთდებოდნენ მსუქანა კაცები და ვინ სად უკუჭავდა ფულს (კომუნისტების დრო იყო), _ ასეთი თვალები არ გვინახიაო.

მეც რა მიჭირდა. ავიყვანდი სახლში, დედამისს ჩავაბარებდი და ჰაიდა დუქანში.

როგორ დაიბადნენ.

მარიამი, ცისფერთვალება.

28 აგვისტოა. მე და ქეთიმ საირმეში გავასეირნება გადავწყვიტეთ, მაგრამ შუაგზაში ქეთის ჭინთვები დაეწყო და სასწრაფოდ ქუთაისში დავბრუნდით.

სამშობიაროი. ბატონი რეზო, მე და ქეთი, გაბერილი მუცლით. ბატონ რეზოს რა გაუჭირდებოდა. დარეკეს მისაღებიდან და სასწრაფოდ ჩამოცვივდა ყველა და ქეთი აიყვანეს. გამოიძახეს განყოფილების გამგე, ქეთის троюродний брат (მომკალი, გვარი არ მახსოვს, მაგრამ ოჯახის ძალიან ალხობელი და კაი კაცია).

გარეთ ვდგავართ, ეზოში. ამ დროს იღება ფანჯარა, ბოლო სართულზე, სადაც სამშობიაროა და ვიღაც იძახის: “ვახო შენ ხარ?” _ ნანა ტაბაღუა. ჩემი ქუთაისელი ნათესავი, მიკროპედიატრი. თურმე მორიგეა. მან უნდა “აიყვანოს” ახალდაბადებული.

მე და რეზო სიგარეტს ვქაჩავთ, “ვნერვიულობთ,” როგორ დამთავრდება მშობიარობა. ირიჟრაჟა. ამ დროს იღება ლიფტის კარები, ნანა გამოდის. “ვახო, რა ბავშვია! ცისფერთვალება, თეთრი, თეთრი...” მე, _ “გოგოა არა?!” რა თქმა უნდა პირველი ბიჭი მინდოდა. ლადო კახაძემ (ჩემი კურსელი. პირველი მან გახსნა, თბილისში, ექოსკოპიის კაბინეტი) კი გაუკეთა ექოსკოპია ქეთის, მაგრამ ქეთიმ გადაწყვიტა, რომ სქესი არ გვაინტერესებსო. პირველი შვილია, რა მნიშვნელობა აქვს ბიჭია, თუ გოგოო. (ისე, ქეთის აბორტი არ გაუკეთებია, ყველა გააჩინა.)

ნანამ ზევით ამიყვანა. თეთრი ხალათი ჩამაცვა და შემიყვანა იქ სადაც უცხო პირთა შესვლა აკრძალულია, იქ, სადაც ახალშობილებია. მაგრამ ნანას, ბატონი რეზოს და ჩემი პატივისცემით შემიშვეს. შევდივარ. ათი, თუ თხუთმეტი ახალშობილი, გაკოჭილები, წვანან პატარა საწოლებში. მაშინვე ვიცანი მარიამი (დედამისს ნანას დარქმევა უნდოდა, მაგრმ მარიამმა თვითონ დაირქვა სახელი. აბა, 28 აგვისტოს დაბადებულ გოგოს რა უნდა დაარქვა). ჰოდა შევდივარ. ახალდაბადებულ ბაშვებს წითელი, ცოტა დამანჭული სახეები აქვთ. ყველას ძინავს. “ეს” წევს, ფართოდ გახელილი ცისფერი თვალებით და მართლა თეთრი, თეთრი...

ახლა ანანო, მწვანე თვალება.

ქეთი კვლავ ორსულადაა. 12 მარტია. დაგვირეკა თემურ გაფრინდაშვილმა (ჩემი კლასელია). დაგვპატიჟა, ვქეიფობთ, გამოდითო.

მარტი ჩემთვის ახალი წელივითაა: 1 მარტი ჩემი დაადების დღეა, 3 მარტი _ ქეთის, 5-ში მე და ქეთიმ ხელი მოვაწარეთ, 6-ში გოგი საათაშვილის, 12-ში მამაჩემის და ა.შ.

ჰოდა საღამოა. ჭიშკარს გამოვცდით და ტაქსი უნდა გავაჩეროთ (მანქანით არ გამოვიყვანე, უნდა დავლიო). და ქეთი: "ვახო, დამეწყო." იქვე სახლთან სამშობიარო იყო (კამოს ქუჩაზე) და გავაქანე.

მოვარდნენ ძმაკაცები: ვახო კოპალეიშვილი (ჩემი მეჯვარე) და ფიდო საყვარელიძე. "მხედრიონის" დროა (ნახევარი მხედრიონი ჩვენი უბნელები იყვნენ). ვსხედვართ სამშობიროს ეზოში. შამპანურები და ავტომატიანი ბიჭები. ვახომ დაიჩემა, _ "13-ში დაიბადებაო." არა, და წუთი წუთზე ველოდები. ზუსტად 15 წუთი გადააცილა და 13-ში დაიბადა. გამოვიდნენ, მოგვახარეს. და ბიჭებმა ავტომატები მოიმარჯვეს, "ზალპის" მისაცემად. მეთქი, აი ეგ არ გინდათ... სამოქალაქო და აფხაზეთის ომი გვაქვს გამოვლილი და ავტომატის კაკანს ვეღარ ვიტანთ. (ფიდომ ანანო მომინათლა.)

მეორე დღეა. მე და მარიამი ჩავჯექით მანქანაში. დედიკო უნდა მოვინახულოთ. დავქოქე მანქანა და უცებ "ბუჰ" და მოტორიდან ცეცხლი ამოვარდა (მაშინ, ძველი "03" მყავდა). ვინ არის მარიამ სუსტი ნერვების პატრონი, შეენ? არც განძრეულხარ. წყნარად მიყურებდი როგორ ვაქრობდი ცეცხლს. დავქოქე, წავედით და მოვინახულეთ: სიფრიფანა ანანო და დედამისი.

მარიამი, მედიკო ბებიას უაზრო ქცევების გამო ძუძუს მოწყდა და ხელოვნურ კვებაზე გაიზარდა. ანანო (უკვე მე ჩავერთე ბავშვის აღზრდის "პროგრამაში") იმდენხანს წოვდა ძუძუს, რომ როცა ილიკო ჩაისახა (ორსული ქალი ჯობია არ აწოვებდეს ძუძუს) ანანო ისეთი დიდი იყო უკვე, რომ, ავუხსენით და დაანება ძუძუს თავი.

მოვიდა ილიკოს ჯერიც, _ თაფლისფერთვალება.

სამინისტროში ვმუშაობ და ერთ-ერთ საავადმყოფოს ვამოწმებ, თბილისში. მირეკავენ, _ ქეთი სმშობიორაშიაო. ახლა უკვე ჩემი ძმაკაცის, გია ჯავახიშვილის სამშობიაროში, კობის ქუჩაზე. აი, ის სამშობიარო "არაჩვეულებრივ გამოფენაში" რომ არის. სასწრაფოდ მთავარმა ექიმმა გამაქანა თავისი მანქანით. მამუკა ჩარკვიანიც მოვიდა და ველოდებით მთავარი ექიმის, გია ჯავახიშვილის კაბინეტში. დაიბადა ილიკო. ამიყვანეს, შემიყვანეს ახალშობილთა პალატაში და ზუსტად ისე, როგორც მარიამის დროს, მაშინვე ვიცანი, _ პატარა ვახტანგ ტაბაღუა.

ფეხი როგორ აიდგეს.

ცისფერთვალება, _ სოხუმის ომიდან ჩამოვედი ქუთაისში, ადგა და შემომეგება. მე მგონია, რომ მწვანეთვალებამ დააგვიანა ფეხის ადგმა. წამოწოლი ვარ (თბილისში) და უცებ აწია ჭოჭინა და თითის წვერებზე გაიარა, მერე ისევ დადო

ჭოჭინა და ჭოჭინით გასრიალდა. თურმე ეს უკვე დადის. თაფლისთვალება? არც მახსოვს. მე მგონი, გადმოხდტა საშოდან და პირდაპირ ეზოში გაიქცა.

იქ სახლში რომ შევდიოდი, აი, იმ უცნაურ სახლში, ქუთაისში (უცნური იმიტომ იყო, რომ, მამა აკლდა იმ სახლს. ასე მედიკო ბებიამ გადაწყვიტა), იმ აივნიდან, საიდანაც ჟორა გადმოვარდა (აი, ის გრძელი ფრჩხილი რომ ჰქონდა ნეკა თითზე), იმ ტელევიზორის ოთახში ისინი, ცისფერთვალება, მწვანე თვალება და თაფლისფერთვალება იქ ისხდნენ.

მამიკო მოვიდა.

ის დიდი ბუფეტიც, მარიამს რომ უწერია, თავზე დამემხობოდა, თავის მწყერებით და ვაშლებით და ნადირობის ქალღმერთით.

ჩახუტებას მარიამი ასწრებდა ყველას.

და გამოგორდებოდა საძილე ოთახიდან ქალბატონი მედიკო, სადაც ძირითად დროს იმაში ატარებდა, რომ ხან მერიაში რეკავდა, ხან გამგეობაში, ხან პარლამენტში, _ წყალი რატომ არ მოდისო. ისე, წყალი მართლა არ მოდიოდა საქართველოს ერთ-ერთ სატახტო ქალაქში. ერთხელ მე და მარიამმა მოვზიდეთ მეზობლისგან წყალი ბიდონებით. მეზობელს ჭა ჰქონდა.

ორ წუთში მარიამის თეთრ თეფშებზე ცხელ-ცხელი ხაჭაპურები ეწყო. ეს მარტო ქუთაისში იციან, ორ წუთში ხაჭაპური სუფრაზეა. აბა, მეგრელები, სანამ კეცზე ხაჭაპურს გამოაცხობენ, მერე ზევიდან კვერცხი უნდა დაახალონ, შენ უკვე გოჭი გაქვს ნაჭამი. არა, მერეც კარგია სუფრაზე მეგრული ხაჭაპური. ისე, მე ყველა კერძზე ხაჭაპურის მიყოლება მირჩევნია, პურს. გადავუხვიე (კულინარიულად), გადმოუხვიოთ მედიკოსთან.

თან კარგი მომენტი იყო “უჭმელ” ბავშებისთვის ჭამა დაეძალებინა. სამივემ ჭამის იმიტაცია შექმნეს, _ თითო ლუკმა ჩაკბიჩეს და ხაჭაპურის სამივე ნაჭერი მე გადავსლასნე. არა, ოთხივე. (ე.ი. მთელი ხაჭაპური). ამიტომ, როცა მედიკო ახლა სამზარეულოდან შემოგორდა, ბაჟეებით, შემწვარი ქათმით და სხვადასხვა რაღაცეებით, უკვე არაფრის ჭამის თავი აღარ მქონდა.

კიდევ კარგი ბატონმა რეზომ მომისწრო.

ეს ის ბატონი რეზოა მარიამმა რომ ნოველლა მიუძღვნა. “ეძღვნება ბაბუაჩემს, ექიმ რეზო ნემსაძეს.

კარგი რეზო მერე. ჯერ ბავშები.

ანანომ სილამაზეში მარიამს “გაუსწროო”, ასე ამბობდნენ, თორემ ორივე “კრასავიცაა.”

ერთხელ სკოლაში გვიბარებენ. მეუღლემ მეც “წამათრია”. ორივე გამოცხადდითო.

“რა ვუყოთ ამ ბავშს?” – კლასის დამრიგებელი.

გვაჩვენებს კარნახს. რა თქმა უნდა რაღაც სისულელეზე იქნებოდა.

დავხედე ნაწერს და ამიტყდა სიცილი, – ანანოს ჯერ დაუწყია წერა, მაგრამ მერე კარაკულები, კარაკულები, კარაკულები. ეტყობა ვერ ასწრებდა (ფიქრები ხომ სხვაგან ჰქონდა ყოველთვის) და ბოლოს კარაკულებიც დაეზარა და ფერადი ფლომასტერებით ნახატი დაუხატია.

ხატვაში მარიმს ცოტათი ჯობდა. მარიამი, უფრო კლასიკურად ხატავდა, მაგრამ ანანოს ფერები ჰქონდა რაღაც ზღაპრული.

"პიონერთ სასხლეში" დადიოდნენ ხატვაზე.

ეს ის "პიონერთ სასახლეა", "ინტელიგაციამ" ნინო ანანიაშვილს რომ არ დაუთმო საბალეტო სკოლისთვის.

ჩემებიც დადიოდნენ ბალეტზე, მაკა მახარაძესთან (კოტე მახარაძის და მედეა ჩახავას შვილთან და ჩემი ძმაკაცის ივიკო მახარაძის დასთან. მე-8 კლასიდან მეათემდე ყოველდღე ივიკოსთან ვიყავით. ფირფიტების მაგარი კოლექცია ჰქონდა, კოტეს ჩამოქონდა უცხოეთიდან).

მე ჯანსღურ ჩარკვიანის ნათლია ვარ, რა თქმა უნდა შვილიშვილის, მამუკას ბიჭის, და კიდევ გადახვევა, მაგარი ისტორიაა.

ჯანსუღი ურეკავს ილია II-ს, ბავშვი უნდა მოვნათლოთ. მამუკა ჭკუაზე არაა, (უკვე ცნობილი მომღერალი და კომპოზიტორია) დილიდან დაიკიდა ყველაფერი ფეხებზე, მთვრალია. ირმამ თავი მოიკლა, არ წამოიყვანა, შეგვარცხვენსო (ო, ეს ცოლები...). წავედით მე და ირმა. ჯანსუღი ამბობდა სახლში "საირმე" მაქვსო. მოსწრებული ენა აქვს ბატონ ჯანსუღს. მამუკას დედას ირმა ჰქვია, ცოლიც ირმა მოიყვანა.

სიონის ეკლესიის ერთ-ერთ, "საპატივცემულო," პატარა კელიაში. ნათლავენ, ალბათ, ერთ ათ ბავშვს. მე ჯანუკი მიჭირავს ხელში. თავზე ვიდეობები, ხომ უნდა გადაიღონ ნათლობა... გაჭედილია კელია ხალხით. და ერთი მომენტია, მამაო, ხომ კითხულობს სახარებიდან და გეუბნება, – ახლა, გახედე კედელს და უთხარი: "ფუი ეშმაკს." მე რა თქმა უნდა ნასვამი (მამუკასთან ერთად) და ამ მღვდელს შევრჩი, ვუყურებ თვალებში და "ფუი ეშმაკს" ამ მღვდელს მივახალე. გაგიჟდა: "მე მეუბნები ბიჭოო." ესენი ხომ ძველი ბიჭები არიან...

ჩვენ დალევაზე სულ ეს მახსენდება:

პარიზში ვარ, მამაჩემის ძმაკაცთან სტუმრად, სახლში. “აპერიტივი” შემომთავაზა (მერე რესტორანში უნდა, ვისადილოთ). ფრანგული კონიაკი, ჯინი, ვისკი და ყინული გამოიტანა. მამაჩემის გადამკიდე, ფრანგული კონიაკი არ მიკვირდა. ის სულ საფრანგეთში იყო და მე სულ მქონდა ფრანგული კონიაკი. სხვათაშორის, არც ვისკი მიკვირდა, სულ ჩამოქონდა. იმ საღამოს ვისკის ხასიათზე ვიყავი, მაგრამ მე ყინულის გარეშე ვსვამ. ისე გაუკვირდა, ისე გაუკვირდა მასპინძელს, თითქოს “ანტიფრიზი” დავლიე. ეტყობა არ იცოდა, რომ ყინული ასეთი მავნებელია.
ყოველ შემთხვევაში მე ერთი რამე დავასკვენი, ვეთანხმები “საბუტილნიკებს”: Поздно выпитая вторая - зря выпитая первая. და მამუკას საყვარელი ფრაზა, _ утром 100 мало, 200 много, а надо 150... ოღონდ 150 ცოტა გაჭიმულად უნდა თქვა, - “сто-пет-де-сят.”

ირინა, ჩემი ერთ-ერთი მოსკოველი საცოლე, გარეუბანში, Очаково-ში ცხოვრობდა. ლუდი “Очаково” გაგიგიათ, ალბათ. ოჩაკოვოს ქვეშ ამბობდნენ სამხედრო ბაზაო, სადაც წყალქვეშა ნავებეს აგებენო. მეზობელი ბიჭები მუშაობდნენ იქ. ერთხელ დილით, ირინასგან მოვდივარ სამსახურში (მაშინ მოსკოვში, კარდიოლოგიის ინსტიტუტში ვმუშაობდი), “ელეკტრიჩკაში” უნდა ჩავჯდე და ვიღაც ხალგაზრდამ მკითხა “ელეკტრიჩკა” სად ჩერდებაო. ვუთხარი მეც იქ მივდივარ და წამოდი-თქო. ცოტა გავაიარეთ და მოიცაო, გაჩერდა, გახსნილი პორტვეინის ბოთლი გააძრო, მოსვა და მომაწოდა. მოვსვი და მივაწოდე. დაახურა საცობი, ჯიბეში ჩაიდო და “წავედითო.” აი, ასეთი ხალხია რუსები.

ვერსალის სასახლეში მომივიდა, ვისკისთან დაკავშირებით. პრეზიდენტ მიტერანთან ვართ მიღებაზე, საბჭოთა კავშირის დელეგაცია (ყველა რესპუბლიკის წარმომადგენელია - народная дипломатия). მიღების შემდეგ, - “la fourshette.” მე ვისკი ავიღე, დავდივარ და ვსვამ. მერე დავფიქრდი: პარიზში ვარ, ვერსალის სასახლეში და რა ვისკი აგიტყდა. საპრეზიდენტო შამპანური არ უნდა

გასინჯო? ფრანგული შამპანური გასინჯული მქონდა, მაგრამ აქ, სასახლეში სასახლის სულ სხვა დონე იყო.

(ვერსალის სასხლე. ეს, სხვათაშორის, ჩემი ყოფილი, პარიზელი სასიმამროა.)

ვერსალის სასახლეში ამბები ჩავატარეეე... ცოტა მოგვიანებით ან სხვა დროს. არა, მე მგონი ახლა ჯობია. მოკლედ, შამპანურს ვსვამ და Таня-ს ვეძებ თვალებით (დელეგაციაში ერთი მოსკოველი ჟურნალისტი შევათვალიერე). ბოლოს და ბოლოს გმოჩნდა: ფუტკრებით დახვეული ყვავილი, გამოყო თავი ფუტკრების ბზუილიდან:

- Вахо, где ты, я уже не могу с этимы придурками.
- Таничка, давай улизнем в готнциницу, - შამპანური მივუჭახუნე.
- Вахо, у меня через пол часа интервию с BBC...

თურმე Таня-ს BBC-ს ჟურნალისტებთან შეხვედრა ჰქონია დანიშნული. Таня-მ თუ დამარეკინებ გადავდებო. მობილური ტელეფონები ჯერ არ იყო. ვისთან გინდა შეხვიდე, ვერსალის სასახლეში და უთხრა, _ "დამარეკინეთ თუ შეიძლება." ან, მიტერანთან ხომ არ შევაჭრი დამარეკინეთქო. გეზი კარის "პაჟებისკენ" ავიღე.

ერთ-ერთი ყმაწვილი ამოვირჩიე და “დავიწყე...” ფრანგი ხარ ქალთან ურთიერთობა არ გეშლებათ, ავუხსენი სიტუაცია და ამ ქალს როგორმე უნდა დავარეკინოთქო. პირველად ვარ ვერსალის სასახლეში და აზრზე არ ვარ როგორ, საიდან დავრეკოთქო. და ა.შ. და ა.შ... გასჭრა: პაჟმა (პაჟი ფორმაში იყო გამოწყობილი) გარდერობი გამოაღო ზევით აიშვირა ხელი, გამიღიმა და “ს’ილ ვოუს პლაიტ, მონსიეურ,” მომაგება. სადღაც, ზევით, რომ არ ამძვრალიყავი ვერ მიწვდებოდი, მოტეხილი ჰქონია ტელეფონი. ჩვენც ავწიეთ Таня, ტაკოზეც მოგვიწია ხელის მიშველებაც და შევსვით ზედა ნიშაში. Таня-მაც დარეკა და все OK, все ალლ რიდჰტ...

წამოვედით მე და Таня “ა ლა ფურშეტ”-ის დარბაზისკენ, დელეგაციის წევრები რომ გავაფრხთილოთ, არ გვეძებონ. მივდივართ და შემოგვხვდა დელეგაციის ქართველი წევრი სარჯველაძე, ფსიქოლოგი, თუ რაღაც ასეთი.წავიტრაბახე, საიდან დავარეკინე-მეთქი. მეც დამარეკინეო, არ მომახტა. ვიფიქრე საქმეა აქვს რამე და დავარეკინე. და მესმის ყურმილში ამბობს: “დედა როგორ ხარ?” აი, ასეთები ვართ ქართველები

ერთი ისტორია ბ-ნ გურამ ფანჯიკიძეზე.

მე, ბ-ნ გურამი და მისი მეუღლე ერთად ვართ ტურისტულ ჯგუფში (კომუნისტების დროა), ავსტრიაში. ერთ-ერთ ქალაქში დაგვპატიჟეს მაჭრის დღესასწაულზე. ბ-ნი გურამი ცნობილი თამადა იყო და მაგრად სვამდა, მაგრამ ამდენმა მაჭარმა შეგვაწუხა და გარეთ გამოვედით, ზედმეტი სითხის გამოსაშვებად. რატომღაც ტუალეტში არ შევედით. თან ჰაერზეც მოგვინდა. მე და ბ-ნი გურამ ვსაუბრობთ. სადაც ვქეიფობდით ზედ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საზღვართან იყო (მაშინ გერმანია გაყოფილი იყო). ღამეა. მივადექით რკინის, წვრილ მავთულებიან ღობეს და ჩვენ საქმეს ვაკეთებთ. ესაა სზღვარი. იქით, გერმანიის ტერიტორიაზე, გაკაშკაშებუ.ლი აეროპორტის შენობა მოსჩანს. და, ამ დროს, რატომღაც, ბ-მა გურამმა თავისი ახალი რომანის (“სპირალი”) მოყოლა დამიწყო. გულში ხარხარი ამიტყდა, რა დროს სპირალია, მაგრამ მე და ბ-ნი გურამი რაღაცნაირად დავახლოვდით და თავს უფლება მისცა ჩემთან თავისუფლად ყოფილიყო. როცა სამოგზაუროდ წამოვედით მამაჩემმა ჩემი თავი ბ-ნ გურამს ჩააბარა (მთელი ჯგუფი პროფესორებით, უფროსი თაობით იყო დაკომლექტებული. ერთი მე ვიყავი პატარა, ინსტიტუტ ახალი დამთავრებული და მოსკოვში ვმუშაობდი), მაგრამ ისეთი რამეები ჩავუტარე იქ, მთელ ჯგუფს (მთელი პროფესურა ნაშებში წავიყვანე. ამაზე მოგვიანებით), რომ როცა თბილისში დავბრუნდით, ბ-მა გურამმა მამაჩემს უთხრა, _ ჩემთვის კი არ უნდა ჩაგებარებინა, მე უნდა ჩაგებარებინე მისთვისო. საფრანგეთშიც ასე მოხდა. პარიზში რომ ჩავედი პირველად, _ ილია ტაბაღუას შვილი ჩამოვიდაო. მერე ილია წავიდა პარიზში და ვახოს მამა ჩამოვიდაო. (ისე, ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი, მაია ფანჯიკიძე, ბ-ნი გურამის შვილი, ზედგამოჭრილი დედამისია).

ცოტა უცნაურ რაღაცებს ვყვები,

მაგრამ ასეთია ცხოვრება

ერთხელ პარიზში ვართ, მე და ილია. ილიამ, ერთ ჩემს ახლობელ პროფესორთან უნდა მივიდე სტუმრადო და წამოო. მეც მაინტერესებდა როგორ ცხოვრობენ ფრანგი პროფესორები და წავედით. კარი მდივანმა, თუ მოახლე, თუ ორივე ერთად გოგომ გაგვიღო. მისაღები გაწკრიალებული და კაბინეტში? მეგონა მარტო ჩემი და ილიას კაბინეტები იყო ასე არეულ-დარეული წიგნებით, მაგრამ იქ რომ ვნახე, ვერც წარმოვიდგენდი.

ისევ დავბრუნდეთ ოჯახში.

ანანო დედაჩემს დაემსგავსა ტანით, ხელის თითებით, მანერებით...

მარიამი ვის დაემგავსა არ ვიცი. ეტყობა, ისე გვიყვარდა ერთმანეთი, რომ პირველი რაღაც საოცრება შევქმენით.

მარიამი ბებიამისს, მედიკოს, დაემსგავსა. ყოჩაღი იყო, სწრაფი. უცბად შეჭამდა, უცბად იმეცადინებდა და იყო თავისუფალი, ან ტელევიზორის საყურებლად ან ეზოში ჩასასვლელად. ერთადერთი, რაზეც "ეჩხუბებოდნენ," ცალკე მუსიკის მასწავლებელი, ცალკე დედამისი, – "ნოტებში ჩაიხედე." პიანინოზე დაკვრისას ნოტებს არ უყურებდა (ერთ დაკვრაში ზეპირად იცოდა და რა ექნა?). "ნოტებში ჩაიხედე," – სულ ეს ისმოდა სახლში მეცადინეობის დროს.

ანანო ნელა-ნელა ჭამდა, დედაჩემივით. მეცადინეობას იმდენ დროს ანდომებდა, რომ სულ ეს ფრაზა ისმოდა, – "ანანო დროზე დაამთავრე მეცადინეობა." არ ვიცი რატომ. იჯდეს ბავშვი და იმეცადინოს. ხატვა უყვარდა და მისი ფიქრები ყოველთვის სხვაგან დაფარფატებდა. მეცადინეობის დროს, ხან მეცადინეობდა, ხან ხატავდა, ხან მოფარფატე ფიქრებს დაყვებოდა... ერთხელ თავისი ოცნება გაამჟღავნა, – "მინდა ფუღუროში ვხოვრობდე და ბევრი თხილი მქონდეს." ჰა, როგორია?.. დააძალე ასეთ ბავშვს: დროზე იმეცადინე, დროზე ჭამე...

დილაა. ნაბახუსევზე ადრე რომ გეღვიძება. ყველას ძინავს.

გადავძახე ჩემ ნაცნობ მეეზოვეს, მაჯიტას. ქურთი კაცი იყო, ჩემ უბნელ ქურთ ძმაკაცებს ბიძად ეკუთვნოდათ. ფული გადავუგდე და ამომიტანე მეთქი.

სანამ მოვიდოდა ცოტა გამოვხვეტე ოთახები. მივალაგ-მოვალაგე (ღამით დაძინებამდე, არეულს რომ ტოვებენ "ტელევიზორის ოთახს" და დედასაც რომ ეზარება, დილისთვის გადადებს). მაცივრიდან გოჭის თავი გამოვიღე (თამადას რომ ეკუთვნის, ხომ იცით) და გაიღვიძა ოჯახმა.

მე გოჭის თავს შევექცევი. ჰო, მდოგვიც დავაბარე. ეს მთელი დისერტაციაა, – როგორ დაშალო თავის ქალა დანის გარეშე და არ დაგრჩეს შეუჭმელი არაფერი, ძვლების გარდა. ისე, ვისაც უჭამია, იცის, ალბათ, კბილებ ქვეშაც ისეთი გემრიელი რბილობებია...

პირველი შემოდის ქეთი. მიყვარდა დილით მისი დანახვა. ისედაც ლამაზია, მაკიაჟის გარეშე. "გუშინაც დალიე, არა? მიგილაგებია" (გვიან მოვედი სახლში, არც მინახია. "საბავშვო ბაღი" აღარ შემიწუხებია, ჩემ ოთახში მეძინა). მოვიდა ლოყაზე მაკოცა, ხელით თავზე თმები ამიჩეჩა და წავიდა საუზმის მზადება.

ჩემ გასაკვირად სამზარეულოში ანანო შემოფრინდა (პირველი ყოველთვის ილიკო დგებოდა).

"დილა მშვიდობისა მამიკო." მაგიდასთან ჩამომიჯდა გვერდით და მაკოცა. კლასიკური ოჯახი გაიჩითა. ერთი მე ვიყავი არყის ბოთლით, გოჭის თავით და მდოგვით.

ჩანართი სამზარეულო.

ახალი ბინა რომ მისცეს, ბ-ნ ილია ტაბაღუას, ახალ აშენებულ სახლში ("პრესტიჟულ" სახლში, – მეზობლები: კახი კავსაძე, ნინო გურიელი, ქურთიშვილის სახელოსნო და ა,შ. და ა.შ) ბინაში ორი ტუალეტი დაგვხვდა.

ე რა თქმა უნდა ინიციატივა გამოვიჩინე, სამზარეულოსთან ტუალეტი გავაუქმე, ფართი სამზარეულოს შევუერთე და დიდი სამზარეულო მივიღეთ. სამზარეულოს რემონტის მშვენება ილიას საფრანგეთიდან ჩამოტანილი

ცნობილი მხატვრის მიერ მოჭიქული კაფელი იყო. და რემონტის კიდევ ერთი მშვენება იყო ილია ტაბაღუა უმცროსი. რემონტის დროს ილიკო (3 წლის) აქტიურად გვეხმარებოდა. ჩაქუჩს ისე ხმარობდა, რომ ერთხელ თითში არ ჩაურტყამს.

“ანანო რას შეჭამ?” გაისმა ტრადიციული შეკითხვა.
“დედიკო არ მშია.” იქიდან ისევ ტრადიციული ბუზღუნი, “რა უჭმელია ეს ბავშვი.”

გოჭის ყბის კუნთებს ვიყავი მიმდგარი. ერთი ნაჭერი ოდნავ ამოვუსვი მდოგვში და ჩანგლით პირდაპირ პირისკენ გავუქანე. თან გავუღიმე, თან თვალი ჩავუკარი.

იმანაც გააღო პირი და ნელა, ისე გემრიელად შესასნლა, რომ მივხვდი...

ისე გავაქრეთ მე და ანანომ გოჭის თავი, რომ დედიკოს არც დაუნახია.

“ანანო რას შეჭამ?” კვლავ გაისმა ტრადიციული შეკითხვა.

“დედიკო რაც მოამზადე.”

აი, ასეთი იყო ანანო. ახლა როგორია არ ვიცი. საუკუნეა არ მინახია. ამაში, დედამისს, უფრო კი მედიკოს, დაემსგავსა, – “სულ მთვრალი ხარ.” არ მელაპარაკება. მედიკოსი არ მიკვირს, მე ქეთის მიკვირს. როცა მომყვებოდა არ იცოდა, რომ თითქმის ყოველდღე ვქეიფობდით კარდეოლოგიის ინსტიტუტის ბიჭები?..

ახლა ილიკო.

მამიკო ფეხბურთი ვითამაშოთ. ეს პირდაპირ შემოსასლელში შემოსვლისთანავე იწყებოდა. შემოსასლელში სარკე და ტელეფონი “ტუმბოჩკაზე” (მაშინ ჯერ მობილურები არ იყო). მარცხნივ სამზარეულო, მთლიანად შუშიანი კარებით. (ერთხელ ანანომ თავით გაამტვრია სმზარეულოს, ჩემი საყვარელი, ვიტრაჟიანი, უზარმზაზარი შუშა), მარჯვნივ, დიდი ოთახი, ტელევიზორით, სერვანტით, გამოტენილი უცხოეთში მოგზაურობებიდან ილიას ჩამოტანილი მოხატული ჭიქებით და უცხოური სასმელების მთელი კოლექციით; კედლებზე მთელი გალერეა

ნახატების (ჩემი კოლექცია, – ჩემი მხატვარი ძმაკაცების ნამუშევრები), და ილიას სხვადასხვა ქვეყნებიდან ჩამოტანილი მხატვრული თეფშები ჰკიდია, და ა.შ. (ეს უკვე თბილისის სახლია). და იწყებოდა ფეხბურთი. იქიდან ქეთი: "მორჩით, არ გატეხოთ რამე."

მერე რატომღაც კალათბურთს გაყვა. უნდა გენახათ: ილიკო, – მეტრი და ორმოცდაათი და გვერდზე ორმეტრიანი ბიჭები. გუნდის კაპიტანად ილიკო დააყენეს.

წამოწოლი ვარ ტელევიზორთან, ვისვენებ. ილია (მამაჩემი), აივნიდან იძახის: "ვახტანგ, სასწრაფოდ მოდი." გავვარდი. ილია: "ილიკო ხეზე ავიდა." ამაზე სულ ის ანეგდოტი მახსენდება: ბიჭიკიას გოგოზე და ჭიჭიკიას ბიჭზე. ბიჭიკია ეუბნება ჭიჭიკიას, – შენმა ბიჭმა ჩემი გოგო იხმარაო. "რომელმა, ბიჭიკია, უმცროსმა?" – აღშფოთდა ჭიჭიკია. "არა, ჭიჭიკია, უფროსმა." "უფროსი იზამდა აბა რა იქნებოდა," "დაამშვიდა" ჭიჭიკიამ.

"მამა, ბავშვი ხეზე ავიდოდა, აბა რას იზამდა."

სუპერმარკეტის ქალები.

ეს ცალკე ისტორიაა.

ბავშვობაში "სტროგად" მზრდიდნენ. ეზოს თავის დრო ჰქონდა, მეცადინეობას თავისი, მუსიკას თავის და ა.შ. ამიტომ ილიკო თავისუფლად იყო, – ეზოში რამდენ ხანსაც უნდოდა იმდენ ხანს იყო. ქეთი და ილიასთვის "სტროგად" მქონდა აკრძალული ამაზე პრეტენზიები.

ახლა ცოტა ჩემზე.

დამსვამდნენ სამეცადინოდ მაინდამაინც 3 სთ-ით. რად უნდა მე-3, მე-4 კლასელ ბავშვს სამი საათი. 15 წთ-ში მზად ვიყავი. რა მექნა.

ვკითხულობდი “მხატვრულ ლიტერატურას”. ესეც ამიკრძალეს: უნდა იმეცადინოო. მეც მოვიფიქრე. ჩემ მაგიდას ორი უჯრა ჰქონდა. გადავაბი ერთმანეთს და როგორც კი შემოვიდნოდნენ შესამოწმელად ვმეცადინეობ თუ არა, მეორე უჯრას გამოვწევდი, სადაც სასკოლო ნივთები ეწყო და პირველი, სადაც, გადაშლილი, “სამი მუშკეტერი” იდო, ავტომატურად იკეტებოდა.

მუსიკის მასწავლებელი, ირინა დავიდოვნა, სახლში დადიოდა ჩემთან

ისევ ილიკო.

ჰოდა, თურმე ილიკო მარტო ეზოში კი არ არის, უბანშიც იჩითება. შევდივარ მინისუპერმარკეტში და ქალები მეუბნებიან: “იცით თქვენს შვილს რას ვუძახით? მარტო ჩვენ არა, მთელი ბუტკის ქალები (შევარდნაძის დრო იყო, მთელი ქალაქი ჯიხურებით იყო მოფენილი), კაცი რომელსაც ფული არ უთავდება.” ეს “გაფუჭებული” თურმე ხან დედას ართმევს ფულს, ხან ბებია კლარას, ხან ილია ბაბუას, ხან მე და ის ევასება, რომ რაღაცეებს ყიდულობს, – საღეჭ რეზინას, წვენებს და ამით “მარიაჟობს.”

მე და ქეთი საიდღანაც დავბრუნდით. ეზოში შემოვედით და გოგოების ყიჟინა გვესმის, – ილიკო ჩამოსულა. ადრე ჩამოვედით, აგვისტოს შუა რიცხვები იქნებოდა, ჯერ სკოლა ადრე იყო. ილიკო მარტო დგას ეზოში, ბიჭები არ არიან. მიცვივდნენ გოგოები, მარიამის და ანანოს ტოლი გოგეები, და დაუწყეს კოცნა-ხვევნა. ილიკოს სახე უნდა გენახათ, – ჯერ გაწითლდა, მერე გაფითრდა. ეს ვაჟკაცების რეაქციაა. რომაელები ასე არჩევდნენ მეომრებს. მოულოდნელ სიტუაციაში ჯერ სისხლი უნდა მოგწოლოდა ლოყაზე. თუ გაფითრდი ზნაიტ ჩაისვარე...

ისე მეც ასე ვიყავი ბავშვობაში, – დამესეოდნენ ჩემი დის დაქალები, მკოცნიდნენ, მიხუტებდნენ, თავის დიდი მკერდებით. ახლა, ჩემთვის როგორი იყო, არ იკითხავთ.

ერთხელ, ვდგავარ მთავრობის სასახლის წინ, პაატა ლომსაძეს ველოდები. იქიდან პირდაპირ კიბეებით ავდიოდით, მთავრობის სასახლის გავლით, ვაჟა ქუმსიაშვილის (ჩემი კლასელის) სახლთან, სკვერში ჩამოვჯდებოდით, გავაბოლებდით, და ვწყეტდით, სკოლაში წავსულიყავით, თუ შატალოზე. ჰო, რას მოვაყოლე ეს ლაპარაკი. ვდგავარ მთავრობის სასახლის წინ, მაცვია ჯინსები და ჯინსების კურტკა. მაშინ, ქალაქში ეს ცოტა უცხო იყო. ვიღაც ორი გოგო მომვარდნენ, ჩემზე უფროსები, ულამაზესები, “შენ რა ამერიკელი ხარ? რომელი შტატიდან ხარ?” მეკაიფებიან. ჩამიხუტეს. უკვე მე-7 კლასში ვარ, სულ გავგიჟდი.

ჩვენ სახლთან ძველი ველოტრეკი იყო. თითქმის ყოველდღე დავდიოიდით, მე და ილიკო. ყველას ასწრებდა სამბორბლიანი ველოსიპედით. მაინც რატომ აირჩია კალათურთი? ჩოგბურთზე ბიორგს ეძახდნენ. ჭადრაკზე ფიშერს. მაინც კალათბურთი აირჩია.

და ბოლოს ილიკოზე.

მამიკო მინდა ვიყო.

დილაა. საქმეებზე მიმეჩქარება.

როგორც მარიამი ისე "შემომტენა" ილიკო. "ბაღში წაიყვანე." არა და ბაღი ას მეტრში იყო სახლიდან. მანქანა გავაჩერე ბაღთან. ველოდები როდის ჩავა. ილიკო არ ინძრევა. "მამიკო არ მინდა ბაღში." გამეცინა, მეც ასე ვიყავი, როცა არ მინდოდა სკოლაში სულ "შატალოზე" ვიყავი.

მაშინ მაესტროთან, ბ-ნ ჯანსუღ კახიძესთან მქონდა ოფისი (ბ-ნ ჯანსუღის მუსიკალური ცენტრის სარეკლამო განყოფილების ხელმძღვანელი ვიყავი). ილიკო დავსვი კომპიუტერთან, თამაშები ჩავურთე და მე შევუდექი საქმეებს.

ორი საათისვის მომშივდა, ალბათ ილიკოსაც. წავედით პლეხანოვზე, თურქულ კაფეში, და გემრიელად მივირთვით. კიდევ საქმეები და უკვე ილიკოს ბაღიდან მოყვანის დროა. მოვედით. მანქანა ეზოს ჭიშკრამდე გავაჩერე და ჩანაწერებში ჩავიხედე, რამე ხომ არ დამრჩა გასაკეთებელი. ილიკო, სავარძელში გადაწოლილი: "ნეტავი მამიკო ვიყო." გაკვირვებით შევხედე, – "რას ამბობ მამა?" და მოკლე პასუხი: "შენნაირად ვიცხოვრებდი."

ერთი ისტორიაც.

სამოქალაქო ომია. ზვიად გამსახურდია სამეგრელოშია გაქცეული. აქ, შევარდნაძე, ჯაბა იოსელანი და კიტოვანი ბოგინობენ. სრული განუკითხაობაა. ბავშვები უნდა წავიყვანო ქუთაისში, ბებიასთან და ბაბუასთან (ზაფხულია. ილიკო ახალი დაბადეულია. 7 ივნისსაა დაბადებული. სამივეს დაბადების დღის გამორჩეული ციფრბი აქვთ). მანქანა გატენილი მაქვს ყველაფრით, რაც ბავშვებს დაჭირდებათ. ზევიდან "კალიასკა," ჩვენ ამდენი სული და მეუბნებიან მანქანით არ წახვიდე, – "სვირის საძმო" დგას ტრასაზე და მანქანებს არ უშვებენ, ყველას ძარცვავენო. მატარებლით რა წავა. ამხელა

ბარგი, სამი შვილი, ცოლი. დავაჭირე გაზს ფეხი და წავედით. მართლაც, მთელი ტრასა ცარიელია, მანქანის ჭაჭანება არაა. მივუახლოვდით სვირს და მთელი ტრასა გადაკეტილი აქვთ ავტომატიანებს. მანქანას ხომ არ დააჯახებ, გავაჩერე. არ გადმოსულვარ. გადმოვყავი თავი ფანჯრიდან და თვალებში ვუყურებ. სიჩუმეა. ხმას არ იღებენ. მე: "ბიჭებო რამე ხომ არ გიჭირთ?" კვლავ, ორ წამიანი სიჩუმე და აუტყდათ სიცილი, – ჩვენ გვიჭირს თუ შენო. გაგვატარეს. იმანაც გაჭრა, – სამი ბავშვი, აქედან ერთი ჩვილი (ქეთი წინ იჯდა და ილიკო მკლავებში ეწვინა).

ახლა კიდევ ერთი გადახვევა.

თამაზ მორგოშიას მოციმციმე არითმია.

მარიამ, შენ უნდა გახსოვდეს თამაზი. ჩემი და ქეთის ახლო მეგობარი. ჩვენი ქორწინების დიდი ქომაგი. შენ რომ დაიბადე, სხვათაშორის, პირველი ის ჩამოვი-და ქუთაისში მოსალოცად.

ჩვენი (ჩემი და ქეთის) დაქალის, ნინელი ფუტკარაძის სიძე გურული იყო, სულხანი. (თვითონ ნინელი ცაგერელია). ჩამოიტანა ღვინო სულხანმა. გურულებმა რა იციან ღვინო (მარტო თაფლის არაყი იციან, მშვენირი, და უმშვენიერესი "ადესის არაყი"). რაღაც ცოფი იყო. ნინელი თავის დასთან და სულხანთან ერთად ცხოვრობდა. იქ ხშირად დავდიოდით საქეიფოდ. პირველ დღეს სამ ჭიქაში დავითვერით. მეორე დღეს ხუთში. და ნელ-ნელა ავედით ორ ლიტრამდე. ყოველდღე ვუბერავდით. ერთხელაც შემოგვესწრო თამაზ მორგოშია (ჩვენი კოლეგაა, ერთად ვმუშაობდით კარდიოლოგიის ინსტუტში. ჩხოროწყუელი, განათლებული, კარგი ექიმი). საერთოდ ჩვენაირად არ სვამდა, თავშეკავებული იყო სმაში. მაგრამ იმ დღეს ეტყობა ხასიათზე იყო. დაგვიჯდა სუფრასთან და ჩვენნაირად შეუბერა. თამაზს ვეუბნები არ გინდა, ცოფი ღვინოა და ცოტა დალიე. არ დამიჯერა და გამეთიშა. წავიყვანე სახლში. ლოგინში ჩავაწვინე. მეორე დღეს მორიგე ვარ რეანიმაციაში. ვაღებ პალატის კარებს და მორგოშია არ დამხვდა იქ საწოლში?!. სასწრაფოთი მოუყვანიათ, – მოციმციმე არითმია. ვერაფრით ვერ უხსნიან. შეიკრიბა კონსილიუმი: განყოფილების გამგე ქალბატონი მერი მაისურაძე და კარდიოლოგიის ინსტიტუტის ბიჭები (მთელ თბილისში ცნობილი იყო, – კარდიოლოგიის ინსტიტუტის ბიჭები): ბეჟან წინამძღვრიშვილი, გიზო შენგელია (ცნობილი თამადა), პავლე მაჭავარიანი, იურა ვალაბუევი, საშა ლოლაშვილი, გოგი ღვალაძე, ლევან კობახიძე, გივი ანდრიაძე (ტიციან ტაბიძის დის შვილიშვილი, თუ დის შვილიშვილი) და სხვები. (გოგი "ფაიკას" მეძახდა, – "ჯოკერია" "სეკაში". ორ "ტუზში" (ბეჟანას და გიზო), ფაიკასავით ჩაჯდაო. იურა ნაპოლეონს მეძახდა. ბეჟანა ჩეგევარას). დალი ტრაპაიძე (ესეც ჩვენი დაქალია. დალი, ნინელი და მე კურსელები ვართ), თვითონ ნინელი და ა.შ.

პრეპარატებით არ იხსნება. გადაწყდა, – ბოლო ვარიანტია დეფიბრილაციაა. ამიტომ ნარკოზი უნდა გაუკეთო პაციენტს. გადმოიყვანეს მე-8 საავადმყოფოდან ქირურგები (კოკო და ბიჭები) და არის მზადება. მე ხომ "დოქტორ ჰაუსი" ვარ და ქალბატონ მერის ვეუბნები (ჩვენი ძმაკაცის, ზაზა კვანტალიანის, ისიც ჩვენთან მუშაობდა, დედა იყო და უფრო ახლო

ურთიერთობა მქონდა ვიდრე მარტო განყოფილების გამგესთან): "ქალბატონო მერი თხუთმეტი წუთი დამაცადეთ თუ შეიძლება." გავარდი სულხანთან, – "სასწრაფოდ ღვინო." მანანამ (ნინელის და) კალათაში ჩამილაგა "ზაკუსკა" და სასწრფოდ რეანიმაციაში. დავუსხი თამაზას, "ზაკუსკა" და ხუთ წუთში არითმია მოიხსნა.

შემოდიან პალატაში, – ქალბატონი მერის თამადობით, მთელი კონსილიუმი, უკვე ქირურგებთან ერთად და "ფაფუ," – არითმია აღარ არის. ეეჰ, მამუკა ჩარკვიანი დღემდე მიჯავრდება ექიმობას თავი რატომ დაანებეო. რა დროს ჩემი ექიმობაა, 60-ის ვხვდები.

ექიმი 24 საათი თავის თავს არ ეკუთვნის.

ერთი ჩანართი კიდევ მორგოშიაზე. ლენინის სახელობის სამეცნიერო, სამედიცინო ბიბლიოთეკა, მოსკოვი. დისერტაციაზე ვმუშაობ. ჩამოდის მორგოშია. მასაც სტატიები სჭირდება. მოსკოვში ხომ ყველაფერზე რიგებია. მაგრამ მე ყველა გოგო, ბიბლიოთეკაში ქსეროქსზე მომუშავე, უკვე დაკერილი მყავდა და სტატიის დაქსეროქსება (მაშინ ქსეროქსი იშვიათობა იყო) უპრობლემოდ მიგვარდებოდა. მივაწოდე გოგოებს სია, ჩემი და თამაზის. თურმე თამაზისთვის მეგობარს, კოლეგას, თავისთვის საჭირო სტატიები დაუბარებია. ამოგვიბეჭდეს და სამკითხველო დარბაზში დავსხედით. ვარჩევთ, რომლია ჩემი, რომელი თამაზის და რომელი მეგობრის. თამაზი არჩევს, მე მაწვდის და მე ცალ-ცალკე ვდებ. სამკითხველო დარბაზში ყოველთვის სიჩუმეა, იქ ხმამაღალი ლაპარკიც არ შეიძლება. უცებ თამაზი ხელს მკრავს და მაჩვენებს, – თურმე მისი მეგობრის ყველა სტატია ჩინურ ენაზეა. აგვიტყდა სიცილი. კინაღამ გამოგვყარეს.

ორ ისტორიას მოგიყვები ექიმობაზე და მიხვდები რატომ შევეშვი.

მარიამ, ჯანო ხომ გახსოვს, ჩვენი მეზობელი. მედეა კუჭუხიძეს სიძე (მედეა, მარჟანიშვილის თეატრის რეჟისორი, ზუსტად ჩვენ გვერდზე რომ ცხოვრობდა. ჩემთან უყვარდა საუბარი და თავისთან მპატიჟებდა. ქეთი ეჭვიანობდა). ჯანო ცხოვრობდა მეოთხეზე, ჩვენ მეორეზე. ერთხელ ზაფხულია. მარტო შენ ხარ დაბადებული. სამივე ვწევართ ტრუსიკებში, ჩვენ საძინებელში (თბილისში). ცხელა. ღამეა. უცებ რეკავს ტელეფონი, იქ შემოსასვლელში, "ტუმბოჩკაზე." მობილურები ხომ არ იყო. ჩვენ ვართ დერეფნის მარჯვენა რიგში, ბოლო, მე-4 ოთახში. რას იზამ, უნდა ადგე, აბა, ქეთის ხომ არ გაუშვებ. "ნეგალანტნო." გავედი, რა თქმა უნდა ტრუსიკში ვარ. ავიღე ყურმილი. ჯანო, – "ვახო, ამოდი სასწრაფოდ, ცოლი მიკვდება" (მედეას გოგო). ეგრევე გავაღე კარები და ავვარდი ზევით. საჭირო რაღაცეები ჩავუტარე პაციენტს, გამოვიყვანე მდგომარეობიდან და მე და ჯანო (უკვე დამშვიდებული) დავსხედით სამზარეულოში, სიგარეტი გავაბოლეთ. ჯანო მიყურებს და აუტყდა სიცილი: "ტრუსიკში ამოხვედი?!" აბა რა მექნა, კვდებაო?!

მეორე.

დუშეთში ვმუშაობ. ღამის 3 საათია, საავადმყოფოში მორიგე ვარ. წამოწოლილი ვარ, ვისვენებ. უცებ ვიღაც, გახეთქილი მთვრალი, ახალგაზრდა ბიჭი შემოვარდა, ქეჩოში ჩამავლო ხელი და თავის მანქანისკენ მიმათრევს:

“სასწრაფოდ, დედა მიკვდება.” ძლივს მოვასწარი სასწრაფოსთვის დამეძახებინა, წამომყევითქო. მივედით და ეზო უკვე სავსეა მეზობლებით, – “გარდაიცვალა.” მაინც უნდა შეხვიდე, ექიმმა უნდა დაადასტუროს გარდაცვალების ფაქტი, გვამური ლაქები და ა.შ. შევედი, სასწრაფომაც მომისწრო.

დავხედე. მთლად მკვდარი არაა. ისე, არ სუნთქავს და პულსიც არა აქვს.

გავყარე ჭირისუფლები ოთახიდან და ექთანს, – “დავაი, ახლა რაც წამლები გაქვს.” ვურჭეთ და ვურჭეთ. გულის მასაჟი, მკერდიდან, ხელებით (დეფიბრილატორი არ გვქონდა). ამოისუნთქა და გაცოცხლდა. მთელი დუშეთი გადაირია. მაგრამ ამის ჯანი ახალგარდა რომ ხარ მაშინ გაქვს. მე ახლა წერა მირჩევნია.

თანაც, თუ გახსოვს, მაშინ ფიდო საყვარელიძემ (ახლა დეპუტატი რომ არის. არა, ისე სულ დეპუტატი იყო) სახელმწიფო საბჭოში წამიყვანა, მერე სამინისტროში ვმუშაობდი და დავანებე თავი პრაქტიკულ მედიცინას. ახლა მარტო მეზობლებს ვეხმარები.

ის ფოტო გახსოვს?

სახელმწიფო საბჭო მაშინ “იმელის” შენობაში იყო, სასტუმრო “ივერიასთან”. სახელმწიფო საბჭოს “ბიჭები” ხშირად დადიოდნენ ჩვენთან, სხდომის შემდეგ. იქვე ვიყავით, – ელბაქიძის დაღმართი, გალაქტიონის ხიდი და ჩვენი მრგვალი, ლამაზი სახლი.

ერთხელ, მე, ფიდო საყვარელიძე და დათო ბერძენიშვილი (ესეც დეპუტატია) ჩვენთან ვსხედვართ და მსუბუქად ვქეიფობთ. ამ დროს ურეკავენ დათოს (უკვე მობილურები არის). თქვენთან ინტერვიუ გვინდაო, პირდაპირ ტელეფონით. თქვენ დაინტერსდით და მთელი ოჯახი სამზარეულოს კარებთან ჩამომსხდარები ინტერვიუს გაფაციცებით უსმენთ. მე ფოტო გადაგიღეთ.

ახლა, ისევ ბატონი რეზო. სადაც გავჩერდით, – მიშველა მეთქი. შემოვიდა და ისევ გამოგორდა მედიკო სამზარეულოდან. რეზოს როგორც ყოველთვის დიდი პარკი ეჭირა ხელში, – სოკოთი სავსე. ნიყვი. და დაიწყო: “ვინ გაარჩევს მაგ სოკოს, ვინ გააკეთებს.” ხაჭაპურის და ტორტის გაკეთება არ ეზარებოდა.

რეზომ, – “ღვინო არ არის სახლში? კაცს დაუსხით.”

მეც მადა დამიბრუნდა

ცოტა ხანში მეორე ოთახში გამიყვანა. ჯიბიდან მალლბორო ამოიღო და ჯიბეში ჩამიდო. მედიკოს რომ არ დაენახა. მაშინ სიგარეტი არ იშოვებოდა. თან ძვირი იყო. სოკოს სიგარეტიც რომ დამატებოდა (თან ჩემთვის), აი, მაშინ იქნებოდა იმათ საძინებელში ამბები.

ცოტა ხანს მედიკოს დავუბრუნდეთ.

მე და ქეთი, ქეთის დაქალთან, ნანა ფრუიძესთან, ვართ სტუმრად (იქ, ქუთაისში). უცებ რეკავს ტელეფონი: "სასწრაფოდ მოდით სახლში," – მედიკოა. წამოვხტით შუა სუფრიდან და გავიქეცით. არ ვიცით რა ხდება.

კადრი სახლში:

მედიკო ფეხმორთხმული გდია იატაკზე, ჩვენ საძინებელში, წინ გახსნილი ჩემი ჩანთა უდევს და ტირის: "რა არის ეს ვახო?"

მარიამს რომ უყვრს, – ჩანართი:

სიგარეტს ვეწეოდი ბავშვობიდან. მერე გადავედი თამბაქოზე. ბათუმიდან მიგზავნიდნენ. ხელით ვახვევდი. მერე შემთხვევით ერთ-ერთ კაფეში ვნახე ვიღაც უცხოელი როგორ ახვევდა სპეციალური აპარატით თამბაქოს. ქეთი ზუსტად მაშინ მიდიოდა ფინეთში სამოგზაუროდ. დავაბარე და ჩამომიტანა ეს აპარატი და სიგარეტის სპეცილური ქაღალდები. მერე პარიზში ვიყიდე სხვადასხვა აპარატები (ფილტრიანის შესაკეთებელიც) და თამბაქოები პარკებში. მერე ქეთევან ბაგრატიონის ძმა მიგზავნიდა რომიდან. ასე რომ სულ მქონდა თამბაქო ჩანთაში.

ჩემმა სიდედრმა გადაწყვიტა ახლად დაქორწინებული სიძის ვინაობა ზუსტად დაედგინა და ჩაყო თავი ჩანთაში. და ეს თამბაქო ეგონა ანაშა. კიდევ კარგი ქეთიმ ზუსტად იცოდა ყველაფერი.

ისევ რეზო.

მე და ქეთიმ ჩუმად მოვაწერეთ ხელი (მე 37 წლის ვარ, წარმოიდგინე, – ჩუმად მოვაწერე ხელი. არა და "ჩემი ხელის მთხოვნელები," – პარიზელი, ზუგდიდელი, დუშელი, გორელი, ქუთაისელი, ბათუმელი, რუსთავი, "მოსკვა-ლენინგრადი," თბილისელებზე ხომ ზედმეტია ლაპარაკი). მედიკოს არ ვევასებოდი. ხმამაღალი არგუმენტი, – რეზოს სიმაღლის არ ვიყავი (ქეთი ჩემზე მაღალი იყო). ისე, იმიტომ არ მოვწონდი, რომ ძალიან თავისუფალი ვიყავი. რეზო, როგორც მამა, უფრო თანახმა იყო.

დაგვადგა ფიქრია (მურმან ლებანიძის გოგო და მერე ქეთის მეჯვარე). "აბა ახლა "დავაიო." და წაგვიყვანა ხელისმოსაწერად.

ჩავედით ქუთაისში.

ფაქტი სახეზეა. მედიკომაც მიგვიღო. მოვიდა ბატონი რეზო, იმასაც ფაქტი დახვდა, მოგვილოცა.

მეორე დღეს მუბნება: "ვახო წამო." ჩავჯექით მანქანაში და მიმიყვანა "გოგისვანიძეებში" (ჩვენი თაობისებმა იციან, – განთქმული საქეიფო ადგილი იყო). ვფიქრობ, ახლა დაიწყება ნოტაციები, ჩემ გოგოს მოუარე (ქეთი ხომ დედისერთაა). ან, თავისი ძმაკაცები უნდა გამაცნოს. ბატონი რეზო ცნობილი ექიმი და ცნობილი თამადა იყო მთელ ქუთაისში და მთელ დასავლეთ საქართველოში. სუფრასთან მარტო ვართ. სუფრა ზღაპრული. "გოგისვანიძეებში" ჯერ მარტო ყველს დებდნენ სუფრაზე ხუთ ნაირს. ოფიციანტები ბატონ რეზოს თავს დასტრიალებენ. მივუჭახუნეთ თითო ჭიქა და ახლა მომისნეო. მეთქი დაიწყო. და რას მეუბნება, – "იცოდე ვახტანგ, კაცი რომელიც არ სვამს იმას არ ენდოო." ამ დროს შემოიტანეს, ლანგარზე, მთლიანად შემწვარი ციკანი. ეს მეგრელების ყველაზე საპატივსაცემულო კერძია და ეს ჩემ პატივსაცემად მოხდა.

ისე, თუ იცი შენ მარიამ, რომ რეზოს ნამდვილი გვარი ძაძამიაა. ბაბუამისი, ცნობილი, ქამარ-ხანჯლის ოსტატი იყო სამეგრელოში (ბაბუჩემსაც ჰქონდა მისი ნაკეთი ქამარ-ხანჯალი. ზედ ეწერა ძაძამია). მერე სამეგრელოდან ქუთაისში გადმოსახლებულა და ძაძამიძედ გადაიკეთა გვარი. რეზოს მამა კომუნისტებმა დახვრიტეს და რეზო დედის გვარზე გადაუყვანიათ.

ასეთი კაცი იყო რეზო.

ახლა ცოტას ჩემ და ქეთიზე მოგიყვები და დანარჩენი მერე.

წეღან რომ ვამბობდი, – ქეთი წავიდა ფინეთში. არ მახსოვს შობა იყო თუ ახალი წელი, თუ ძველით ახალი წელი. გემით იყო კრუიზი. მოკლედ, ქეთი და დარეჯანი (ჭიაბრიშვილი, – კარგი გვარია) რიგიდან გაემგზავრნენ და ისევ რიგაში დაბრუნდნენ. ქეთი მეუბნება, ტელეფონით, ბილეთები ზეგინდელ რეისზე გვაქვს და ახალ წელს აქ შევხდებით და ჩამოვალთო. მე რა გამაჩერებდა.

აეროპორტი. რა თქმა უნდა გელა (ჩხარტიშვილი, აეროპორტის "კგბ." ჩემი კლასელი). რიგაში ფრენა არ არისო. მაშინ მოსკოვი. მოსკოვში გოგოებმა, – რიგაში ფრენა არ არისო. მაშინ ტალინში. ტალინში გოგოებმა, – რიგაში ფრენა არ არისო და ერთი ვარიანტიაო საზღვრამდრე ავტობუსით და მერე...

ჩავედი საზღვარზე. იქვე ტაქსი რიგამდე. ვიცი რომელ სასტუმროშიც არიან.

მივედი სასტუმროში. უკვე 12 ხდება. ახალი წელი დგება. "ნამეროვ ნეტ" – მეუბნება ადმინისტრატორი. გავუღიმე, სიმპატიური ქალი იყო. კონიაკი და ნომერი იყო.

შხაპი მივიღე, ავკრიფე საახალწლო საჩუქრები, შამპანური და მივედი იმათ ოთახის კარებთან. "ბენგალის ცეცხლი," ხომ იცი, ავანთე და კარზე დავაკაკუნე. დარეჯანის ხმა: "კტო ტამ?"

"გილოცავ ახალ წელს, გააღე კარი." ცეცხლი მეწვება ხელებში.

"ვაიმე, ქეთი, ვიღაცაა, ქართულად ლაპარაკობს."

ქეთი: "ვახო ხომ არაა?"

აბა მეტი ვინ იქნება.

მეორე და მოვრჩი დროებით ქეთიზე.

საერთაშორისო კონფერენციაა ტაშკენტში.

რეზომ (რა თქმა უნდა რეზო მიიწვიეს, მამაჩემივით) ქეთი წაიყვანა.

მე რა გამაჩერებდა. ჩემ ექთანს, ბაზალეთში ვარდები ჰქონდა, – მუქი, მუქი, მეწამული ფერის. "ბარხატნი." და წავედი ტაშკენტში.

კონფერნციის, ერთ-ერთ სხდომაზე არიან წასულები. ისევ ლამაზი ადმინისტრატორი, ისევ კონიაკი, გავაღებინე ნომერი და ვაზაში ვარდები. სიურპრიზი, ავუხსენი და ნომრის ტელეფონის ნომერი გამოვართვი. როცა დაბრუნდნენ, ქეთი რა თქმა უნდა მიხვდა. რეზო, – "ვა, რა მომსახურება ცოდნიათ ტაშკენტშიო."

ახლა ილია, მამაჩემი.

ქეთი დამიბრუნდა. მარტო ჩამოვიდა, თქვენ იქ ხართ ქუთაისში. მოვიდა. მე მოვენატრე, თუ სხვა რამე უნდოდა არ ვიცი. მაინც დედაა, შეიძლება სხვა გეგმები ჰქონდა.

ქეთის ბეჭედი ვაჩუქე. ასეთი ბეჭედი არ მენახა: თეთრი ოქრო, ფორმა – ბალთიანი სარტყელი (შეკრული) და ყველა შესაკრავ ხვრელში ბრილიანტის პატარა ნატეხები...

ჩავეხუტეთ, ლოგინიდან ავდექით, და წამო ვივახშმოთ, ვთქვი (ასეთ დროს გარეთ სადილობაა ლამაზი).

უბანში კაფე იყო "თეთრი გედი." იქ მივდივართ. ჩემი და ილიას ოთახები გვერდიგვერდ იყო. გამოვედით ოთახიდან და მივდივართ კაფეში. ილიას კარები ღიაა (ამ დროს სულ დაკეტილი ჰქონდა, მუშაობს). ილია, – "ქეთი ერთი წუთით შემოდი ჩემთან, შენ ვახტანგ გარეთ დამელოდე." ახლა მე: "შენ ხომ არ აურიე, გინდა მამა იყავი და გინდა უცხო კაცი, ჩემ ცოლს უჩემოდ რა უნდა ელაპარაკო."

კაფე "თეთრი გედი."



ოფიციანტები თავს დამტრიალებენ. ქეთი კარგ ხასიათზე, – სიცილ-კისკისი. და გავუშვი ქუთაისში.

ისევ მედიკომ ივაჟკაცა. ნათქვამი ჰქონია, რამდენი შვილიც არ უნდა შეეძინოთ, მაინც გავაშორებ ერმანეთსო.

ასე გახდა ის ოჯახი უცნაური, ქუთაისში. მარიამის სიტყვებია,_ "ქუთაისის ერთ-ერთ ცენტრალურ ქუჩაზე, ერთერთი სახლის მეორე სართულზე ერთი

უცნაური ოჯახი ცხოვრობდა, დედა და სამი შვილი…” (მოთხრობა “გასაღები ჟორასთანაა.”)

მარიამ, შენ რომ წერ ეს არის თანამედროვე ქართული ენა. ასე, რომ წერე, ჩემი გოგო. ნიჭი გაქვს. გიგი სულაკაური (ჩემი რედაქტორი) გაგიჟდა, შენი ნოველები რომ წაიკითხა, სასწრაფოდ მოიყვანე ეგ ბავშვი, ჩემთანო..

ვაიმე, როგორ მენატრები. იქნება ჩამოხვიდე და მნახო. იცი სად ვცხოვრობ? ტყეში. გაგიჟდები ისეთი სილამაზეა. გინახია ვარდისფერი ღრუბლები და ვარდისფერი თოვლიანი მთის მწვერვალები? გინახია დილით როგორ ამოვარდება მზე მთის მწვერვალიდან რომ გაგაღვიძოს, ან ღამით როგორ გადევს თავზე ვარსკვლავებით მოჭედილი ცა და მთვარეს ერთი სული აქვს გითხრას: “წადი დაიძინე,” მაგრამ არ გიბედავს. ან მგლები როცა შემოესევიან სოფელს, ძაღლების საწყალი წკმუტუნი მოგისმენია?

(აი ნამდვილი შემოდგომა)

შენ წარმოიდგინე ვირ-ტაჭკა მყავს და იმით დავსეირნობ. ან სოფელ-სოფელ ავადმყოფების სანახავად, ან ტყეში შეშაზე. ბესიკ და ლევან ხარანაულები მყავს მეზობლები (და ლევანის ბიჭები, _ გიორგი, ბესო და ბავშვების მთელი საბავშვო ბაღი). ისე, ძმაკაცები ბევრი დამიგროვდა: რომო (საწყალი ზუზა მოკვდა, რომოს ძმა), ლევანა, _ “კიტაი”, ნიკა (ეს რომოს “სასტავია” და არიან სხვებიც სასტავიდან, ჰოოო, ლერმონტა...); “თომიჩა” (ნოდარ ჯიმშიტაშვილი), უნიჭიერესი ვაჭარი, განათლებული ადამიანი და წერს კიდევაც; გია, ჩვენი უბნის ელექტროობის უფროსი, “ცოფა” (რამაზა), ორი ულამაზესი გოგოს მამა, პელო, პელაგია და

მარიტა; უჩა, მამა მერაბი ქეშიკაშვილი; მევლუდა, “ხუცი,” “ბოსტანაანთ” ბალღები (ანზორა და დათო), “კოურა”, გოჩა (კოურა და გოჩას მამა, ნიკა ძია, ჩემი ყველაზე ახლო ძმაკაცი, _ მოკვდა), მირზა, ზურა, _ “ხოშია,” გულო, ელდარა. უიმე, ყველას რა ჩამოთვლის. ჰო, ხოშიას ცოლი თინა და გიორგი (შვილი), “ცხიმო”, მზია, ცხიმოს ცოლი; ემზარა, ილო, _ “ბუდიონა” (მოკვდა); ლეო, ვანო, _ დავითო ხიზანიშვილის შვილი (დავითოც 1 მარტს იყო დაბადებული, მოკვდა), გელა, ზაზა და ლერი ბაინდურშვილები, და ბაჩა არ დამავიწყდეს, – “მისტერ ზრდილობა” (ასე შეარქვა ჩემმა ბოლო ქეთიმ). ჰო, ჯურხა და მამამისი, _ “ხევსურთ გოგია.” მთავარი, “ციცის სილამაზის სალონი.” თიანეთში. Gამურული ხელების და სახის დაბანვა, წვერის შესწორება და თმის შეკრეჭა _ “ნანეტი.” თვითონ გობელენებს ქსოვს. აი ციციც: (მე ესკიზი დავხატე ფერადი ფანქრებით და ბესო ხარანაულმა ტემპერეში გამიკეთა.)



თბილისში რამდენიმე კაცი შემომრჩა, ფაცო (ფარსმან გაბაძე, მხეცი რაგბისტი. საბჭოთა კავშირის რაგბისტთა ახალგაზრდული გუნდის კაპიტანი იყო), ომარ ცინცაძე, მხეცი ექიმი, ფიდო საყვარელიძე (მხეცი “დეპუტატი”), თენგო ჩართოლანი მხეცი ქირურგი, სვანი, პროფესორი, მამუკა ჩარკვიანი (ნუ, ეგ რომ

მხეცია ყველამ იცის)... გელა ბუბაშვილი, ჩემი ძმაკაცის ვახტანგ ლორთქიფანიძის ბიძაშვილი. არა, არიან სხვებიც...

ბოლოს ფაცომ მაგარი რამე გამიჩითა. ძმაკაცების "გრუპა" გაჩითა. არ გაინტერესებს შემადგენლობა? ყველა ჩემი ძველი კლასელია (ფაცოს კი არა) ან ჩემი ძველი ძმაკაცია (ფაცოს კი არა). მე ხომ ყველა სკოლა მაქვს მოვლილი და ყველა კლასი. აუ, რა მიხარია ამ სიბერეში მათთან ერთად ქეიფი... სასტავი: გია ახვლედიანი (ჩემი კლასელი პირველი კლასიდან) მებონია ! ! ! ჩვენიანია, თამაზ ჭუმბურიძე ("როცა ტყეში ციცინათელების სუნი იდგა"), ჭაპო და სხვები...

უი, კიდევ ომარ ჯაფარიძე...

ერთი ისტორიაც და მორჩა ისტორიები. მე-8 კლასში გამხიზნეს სხვა სკოლაში და გამიჩდნენ ახალი კლასელები: ფაცო, ვახო კოპალეიშვილი, გოგა სანაძე, გურამ სანაძე, მამუკა ჩარკვიანი, სერგო ზედგენიძე, გელა ჩხარტიშვილი, თემურ გაფრინდაშვილი, ლევან ბოტკოვრლი... ჩემს მერე, კლასში დაგვემატა ომარ ჯაფარიძე. ჩვენ სკოლასთან ახლოს იყო ზოოპარკი. ბიჭეს ჰქონდათ ტესტი: ბეჰემოტს პანჩურს ვინ ამოარტყამს (მე გამოვიარე ეს გამოცდა). საქმე იმაშია რომ, ეს, ვითომდაც მოუქნელი ცხოველი სასწრაფოდ მოგიტრიალდება და მოგსდევს თავის უზარმზარი ყბით. გისოსებიანი გალიის ერთ ადგილას გისოსები ოდნავ გაწეული იყო, რაც საკმარისი იყო იმისთვის, რომ ბიჭები გალიაში შევტეულიყავით. შევძვერი, პანღური ვუთავაზე ბეჰემოტს, მოვტრიალდი და მოვრბივარ. გამოსასვლელს ვეღარ ვპოულობ. ყბები ახლოვდება. ბიჭებმა მიშველეს, ხელი შემოყვეს და გამომათრიეს. ომარიმ მაჯობა, _ ხუთიანზე ჩააბარა "გამოცდა."

ნათესავები: რუსთაველი ტაბაღუები მენატრებიან; ნუგზარ ტაბაღუა და მისი ცოლი, და ჩემი "დაქალი" თამრიკო, ირაკლი და ნინიკო, ნუგზარის შვილები, ზურა ტაბაღუა და ხათუნა, და ნოდარ ტაბაღუა ("დრაკონა." "პაეზდკებში" სულ ერთად დავდიოდით ხანდახან ზურა გვემატებოდა, ხანდახან მარტო მე და ზურა). ახლახანს რაღაც საქმე მქონდა რუსთავში. ღამით დარჩენა მომიწია.

რა თქმა უნდა ნუგზარ და თამრიკოსთან დავრჩი. წამოსვლა აღარ მინდოდა, ისეთი ოჯახური სითბო ვიგრძენი (ეეჰ, რამდენი წელია არ მიგრძვნია).

ზუგდიდში თემური მაქაცარია, დოდო, ლაშა

ერთი მეგობარი შემომრჩა კიდევ, ნემსიკა (ბავშვობის სიყვარული, ფსიქიატრი).

ულამაზესი. კლასში სამი-ოთხი გოგო იყო მაგრები, მაგრამ მას ვერავინ შეედრებოდა.

ნემსიკაზე ერთი უნდა მოვყვე. სკოლის პერიოდია, ერთმანეთი გვიყვარს. მარტო ერთი ეპიზოდი. ჩვენი ამბავი ყველა მასწავლებელმა იცოდა, ირინა ანდრეევნას (კლასის დამრიგებელი) დამსახურებით და როცა მარინა თავის მე-2 მერხიდან ჩემ ბოლო მერხზე გადმოჯდებოდა (ფაცო, აი ის რაგბისტი, რა თქმა უნდა მაშინვე ადგილს უთმობდა), ვინც არ უნდა შემოსულიყო მასწავლებელი, მაშინვე იწყებოდა, – "ნემსიწვერიძე დაანებე ტაბაღუას თავი და დაჯექი შენ ადგილას." მე ხომ "გაფუჭებული" ბიჭი ვიყავი და მარინა,– ცნობილი აკადამიკოსის, მენთეშაშვილის შვილიშვილი, ფრიადოსანი. კლასში ბიჭები სამ ჯგუფად იყვნენ გაყოფილები: ვისაც ნანა ჯაფარიძე უყვარდა ვისაც ცირა ცაიშვილი და ვისაც მარინა. ჰო, კარგი, მოვრჩეთ...

ჰოდა, მარინა მეუბნება (ახლა), – შენ არარეალურ სამყაროში ცხოვრობო.

მე მართლა არარეალურ სამყაროში ვცხოვრობ, ეტყობა. ზევით, გალაქტიკებში მინდა (საიდანაც გამომაგდეს, ჩამიკუჭეს ხელში რუკა ამ ცისფერი პლანეტის, აქ გამომაგდეს. რა მინდა აქ?!!!), ზევიდან მინდა ვუყურო დედამიწას. და თუ ჩამოვარდი, და თუ მეტეორივით დავიწვი, მინდა სურვილი ჩაიფიქროს ვინმემ და აუსრულდეს.

გამითხოვდა მარიამი, მაპატიეთ, დაქორწინდა უნდა მეთქვა **(მარიამის შენიშვნა).**



და უკვე შვილიშვილი მყავს, ალექსანდრა!

ახლა ჩემები მინდა გაგაცნოთ

მარიამ ტაბაღუა

(ჩემი უფროსი შვილი)

ამან თქვა

პირველი მსუქანი იყო. მწვანე წინდები ეცვა. დახეულ, წითელ სავარძელში იჯდა და ყველა კუნჭული ქონებით ეკავა. შუადღეს გამოეღვიძა. გაახსენდა, რომ მაცივარი ცარიელი იყო და ცარიელი იყვნენ თეფშები მაგიდაზე და საშაქრე და ცარიელი იყო საპურე და ყველაფერი ძვირფასი მისთვის. პირველმა ტუჩების და ღაბაბის ნელი მოძრაობით თქვა:

- მშია.

მეორე პირველის გვერდით იდგა. ყვითელ კედელს იყო მიკრული. ცალი ფეხი მოეკეცა და კედელზე მიედო. პირველის ხმამ გამოაფხიზლა და კედლიდან თავი გამოყო. მეორემ თქვა:

- და რომ არ გვაქვს პური ჩვენი არსობისა? ეტყობა დღეს დაგავიწყდა ლოცვა. ვერაფერს ვერ შეჭამ.

შავი კარი შეიღო. ძალიან მაღალი და ძალიან მოხუცი მესამე შემოვიდა. მესამემ სამზარეულოდან თეფში გამოიტანა და მაგიდაზე დადო. მესამემ თქვა:

- თეფში თეთრია და ცარიელი. დანარჩენს ღმერთი მოგვცემს: პურს ფუმფულას არსობისას ჩვენსას და სოსისებს შებრაწულს არსობისას ჩვენსას და საწებელს გემრიელს არსობისას ჩვენსას.

მეორე თეფშს უყურებდა, მესამე ჭერს, პირველს თავის აწევა ეზარებოდა. მაგიდიდან მეოთხე გამოძვრა და იმავე მაგიდაზე ჩამოჯდა. ბოლოჯერ გააბოლა, თეთრ თეფშზე სიგარეტი ჩაწვა და თქვა:

- და რომ არ მოგვცეს ღმერთმა პური ფუმფულა არსობისა ჩვენისა და სოსისები შებრაწული არსობისა ჩვენისა და საწებელი გემრიელი არსობისა ჩვენისა?

მესამე, მეორე, პირველი მეოთხეს უყურებდნენ. მეოთხე უყურებდა მეხუთეს. მეხუთე ტელევიზორზე ფეხმორთხმით იჯდა - თავთან ნათურა ენთო. ჩაიცინა მეხუთემ და თქვა.

- მოვიპაროთ. ჩვენ თუ არა, ჩვენს მაგივრად სხვა არავინ იზამს ამას ოთხო და საერთოდ, ვისაც სოსისები გინდათ ადექით!

მეხუთე ტელევიზორიდან ჩამოხტა, მეოთხე მაგიდიდან, მესამე იდგა, მეორე კედლიდან წამოდგა, პირველი დანარჩენებმა(მეორემ, მესამემ, მეოთხემ, მეხუთემ) ააყენეს, მწვანე წინდები შეუსწორეს და გარეთ გავიდნენ. წინ სუპერმინიმარკეტი იყო წარწერით – “ღიაა”. ხუთმა კარი შეაღო. მაღაზიაში არავინ იყო. ხუთმა პარკებში ჩააწყო პურები (ფუმფულა), სოსისები (შეუბრაწავი) და საწებლები (გემრიელი). ხუთნი საქმეს მორჩნენ და უკან გამოემართნენ. ქუჩაში არავინ იყო.

მალე დიდ ოთახში პატარა, თეთრი თეფში იდო. თეფშზე ნარჩენები ეყარა. ხუთნი აბოყინებდნენ. მეხუთე ტელევიზორზე გადაწოლილიყო, მეოთხე მაგიდაზე, მეორე კედელზე, მესამე იდგა. პირველი დახეულ, წითელ სავარძელში იჯდა. ის ბოლო იყო, ვინც დააბოყინა. პირველმა თქვა:

- მშია.

ამან თქვა მშიაო, ამან - რომ არა გვაქვსო? ამან - ღმერთი მოგვცემსო, ამან -რომ არ მოგვცესო? ამან - მოვიპაროთო.

მანანა ტაბაღუა
(ჩემი და)

მაისის ერთი საღამო დედაქალაქის ერთ პროვინციულ ოჯახში

დედა, _ ერთი პროვინციელი ქალი, დიასახლისი.
მამა, _ გარდა იმისა რომ ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორია, საგარეო საქმეთა სამინისტროში გენერალური მდივნის თანამდებობა უკავია (მანქანა ემსახურება), ათამდე ენა იცის (ფრანგული წყალივით, "სამხრეთული აქცენტით"), ნახევარი მსოფლიო მოვლილი აქვს ("ასეთი საქართველოში არ ჰყავთ"). თუმცა ეს სრულიადაც არ უშლის ხელს, რომ მასაც პროვინციული შეხედულებები ჰქონდეს.
უფროსი და, _ არ მუშაობს, არ სწავლობს, შინა მოსამსახურის მოვალეობითაა დაკავებული.
უმცროსი ძმა, _ ვახო. უკაცრავად, მე მინდოდა მეთქვა ვახტანგ, მამა სასტიკად გვიკრძალავს ვახოს დაძახებას. ვახო ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლეა.
ეს ჩემი ოჯახია.

სასადილო ოთახში შემოსვლისთანავე თვალში გეცემათ პიანინოს თავზე შემოდგმული მამას ფინეთიდან ჩამოტანილი ბროლის ვაზა ვარდების ულამაზესი თაიგულით, _ მუდმივი დავის საგანი (ვარდები!) ჩემს ოჯახში.

ვინ მომართვა ეს ყვავილები? ამ დროს არავისაც არ მოურთმევია. მე თვითონ ვყიდულობ ქუჩაში, ან ვკრეფ სადაც კი ხელი მიმიწვდება, მაგრამ ვინ გიჯერებს! აი, ეს ლამაზი ბუსუსა მცენარეები კი, ბუმბულებს რომ ჰგავს, გუშინ დავკრიფე უნივერსიტეტის ეზოში.
აივანზე ვზივარ და ვმეცადინეობ. ხვალ გამოცდა მაქვს "პარტისტორიაში." დილას ნანები იყვნენ ჩემთან (ვითომ ჩემი დაქალები) და ვამეცადინე. ერთ-ერთ ნანას დღიური დარჩა. რა თქმა უნდა გადავიკითხე, სასვენი ნიშნები დავუსვი, გრამატიკულად ჩავასწორე და სათანადო კომენტარები დავურთე, როგორც მოსალოდნელი იყო ჩემგან. მე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიისMფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტი ვარ.

დედა და მამა სტუმრად მიდიან, წვეულებაზე, თან ვახტანგი მიჰყავთ ("მაღალ საზოგადოებაში" ბავშვობიდან უნდა იტრიალო თუ გინდა ცხოვრებაში რამეს მიაღწიო"). ვახოს არ უნდა წასვლა, მაგრამ მამა არ ტოვებს.
არ ვიცი, როგორ გადაწყდება ეს დიდად მნიშვნელოვანი პრობლემა.
მამა მკაცრი ტონით და დაბალი ხმით უმეორებს, ვახტანგს, ჩაიცვიო. ვახო ფეხს ითრევს, მაგრამ საბოლოოდ იძულებული ხდება დანებდეს. მამამ თავისი გაიტანა.
მარტოობით ვსარგებლობ, დროებით ვწყვეტ მეცადინეობას და "ბითლზებს" ვუსმენ...
კარზე ზარია. დედას ნათესავი გვესტუმრა, მეუღლესთან ერთად. რადგან დედა და მამა ჯერ არ დაბრუნებულან, სტუმრები მიდიან და გვიტოვებენ ე.წ. "ბამბანერკას," რომელზედაც შეიძლება ითქვას, რომ ვერ გაარჩევ, კუბიკებად დაჭრილი, რაღაც "ყავისფერი მასაა", თუ შოკოლადი. და შოკოლადთან ერთად ბრწყინვალე კომპლიმენტს ტოვებენ, რაც იმაში გამოიხატება, რომ მამაჩემი თურმე საფოსტო ცხენივით, თუ დაქირქვებული ჯორივით დარბის და ამდენად მისი ნახვა ყოვლად შეუძლებელია. თუმცა მათ დედასთან შეხვედრა უფრო აინტერესებთ, იქნებ დედაჩემმა მამაჩემთან საქმე ჩაუწყოს.

ისევ აივანზე გავდივარ მეცადინეობას ვაგრძელებ. ქუჩის პირიდან ნაცნობი ბიჭი მიღიმის და ხელს მიქნევს. მეც ღიმილით ვესალმები. ამჯერად დალაპარაკება შემიძლია. სხვა დროს როგორ გავბედავ, მერე არ გინდა დედა და მამა მოიგერიო!
ეს ალიკა გუგუნავაა, უნივერსიტეტში სწავლობს, აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე, მესამე კურსზე, _ ჩემი ერთ-ერთი თაყვანისმცემელი. ალიკა რამდენიმე დღის წინ გავიცანი შემთხვევით, მაშინ როდესაც მოტაცებას გადამარჩინა.
ეს უცნაური ისტორიაა, მაგრამ ღირს გახსენებად:
იმ დღესაც ჩვეულებრივ ფეხით ვბრუნდებოდი, ლექციების შემდეგ, სახლში. როგორც მერე გავიგე, ალიკა ჩვეულებრივ მოშორებით მომყვებოდა უკან, თუმცა მე ეს არასდროს შემიმჩნევია. გავცდი თუ არა სპორტის სასახლეს და პეკინის ქუჩაზე გადავუხვიე მოულოდნელად "ვილისი" გაჩერდა და იქიდან ჭინკებივით გადმოხტა, სამი საშინლად შეუხედავი, ჩემთვის უცნობი ბიჭი. ხელები გადამიგრიხეს და მანქანისკენ მიმათრევენ. აღარ მახსოვს, რას ვყვიროდი, ალბათ, მიშველეთ-მეთქი. აი, აქ კი გამომადგა ჩემი უცნობი თაყვანისმცემელი რომელიც შეეჭიდა იმ ბიჭებს გამომიხსნა იმათი ბინძური ხელებიდან და გაიქეციო მიყვირა. როგორ მივირბინე სახლამდე არ მახსოვს. შიშისგან კარგა ხანს ვერ მოვდიოდი გონზე.
მეორე დღეს გამომეცნაურა. გაარკვია, საიდან ვიცნობდი იმ ბიჭებს. ტყუილის თქმა არ დამჭირვებია, _ წარმოდგენა არ მქონდა ვინ იყვნენ. ალბათ, დამიჯერა რადგან, მერე სიცილით მომიყვა "კერენსკისთან" შეხვედრა.
კერენსკი მეტსახელი ყოფილა იმ პლეხანოველი ყოჩის, რომელიც ყველაზე უფრო შეუხედავი იყო იმ ბიჭებს შორის, წითელი აბურძგნული თმებით და ჭორფლიანი სახით. რა ვიცი (აი, სად უნდა იხმარო "რა ვიცი," _ "ფილოლოგიური შენიშვნა"), შეიძლება შიშისგან მომეჩვენა ასე.
"_ საქმის გასარჩევად ვერელები გავედით პლეხანოველებთან!" _ ალიკა ვერელი იყო. "_ მე კერენსკი ვარო! _ გამეჭიმაო. _ შენ თუ კერენსკი ხარ მე ლინინი ვარ-მეთქი ვუთხარიო და სიტყვას მუშტი მივაყოლეო. უსიტყვოდ გაიშხლართაო ძირს."

დედა და მამა ბრუნდებიან. ვახტანგი ცუდ ხასიათზეა. ამ უაზრო (ვახოსთვის) სტუმრობის გამო "საყვარელ საქმიანობას" მოაცდინეს, _ ჩვენ შეგვეძლო ერთად მოგვესმინა "ბითლზებისთვის." სრულიად თანავუგრძობ. რაოდენ დასანანიც არ უნდა იყოს, სხვა არაფერი არ შემიძლია.
მამა ისევ გაბრაზებულია ჩემზე ვარდებთან და "ბუმბულებთან" დაკავშირებით. მე შემიძლია თავი ვიმართლო, რომ ყვავილები ვიყიდე. მაგრამ რატომ? რა, ყვავილების მირთმევა აკრძალულია? მაინტერესებს, მამა ევროპაში მარტო არქივებში სამუშაოდ დადის? ამიტომაც პრინციპულად დუმილს ვამჯობინებ.

მამა კაბინეტში შედის სამუშაოდ. მე სასადილო ოთახში ვრჩები და ჩემი ვარდების სილამაზით და სურნელით ვტკბები.

1968 წლის 26 მაისი, კვირა,

საღამოს 6 საათია.

ფრიდონ საყვარელიძე

(ჩემი მეგობარი, შუათანა გოგოს, ანანოს ნათლია)

მწვანე მიწა

- როგორ ხარ?
- რავი, ვარ რა?! შენ?
- კარგად. დაგვიძველდა, ხომ იცი!
- აბა ბიჭო!
- ჩამოვიდა მამაშენი ავღანეთიდან?
- კი, ჩამოვიდა. ავიდეთ ჩემთან, რამე ავიღოთ და თან მოგიყვები.

მერე ის იყო და ავღანეთიდან ჩამოტანილი მიწა მაჩვენა, რაღაცნაირი მწვანე ფერის მიწა იყო, აი, კაი აზიურ მოსაწევს რომ აქვს, ისეთი. ავღანეთში მეფის მიწვევით ჩასულ ილია

ტაბაღუას გული რას მოუთმენდა და იმ ადგილებში გასულა, სადაც გიორგი XI ებრძოდა სპარსეთის წინააღმდეგ აჯანყებულ ავღანელებს და სადაც მოკლეს კიდეც სხვა ქართველებთან ერთად, მოტყუებით და ღალატით.

- გახსოვს ხომ, ეგ ისტორია?
- კი, რაღაცეები მახსოვს.

***

როდესაც ირანს, ერთ-ერთმა პროვინციამ, ავღანეთმა, დაუმორჩილებლობა გამოუცხადა, ირანის შაჰმა უკვე გამუსლიმებული გიორგი XI დანიშნა სარდლად და ქართველების 4000-იანი არმია, რომელსაც შემდგომში 20000 სპარსელი შეუერთდა, ავღანეთში, კერძოდ კი ყანდაარში გაგზავნა.

როდესაც ავღანელებმა შეიტყვეს, რომ გიორგი ედგა ჯარს სათავეში, წინააღმდეგობის გაწევაც კი ვერ გაბედეს და ყანდაარის კარი გაუღეს მას. გიორგიმ სასტიკად დასაჯა აჯანყების მოთავეები, აღადგინა სპარსული მმართველობა და მხოლოდ ქართველი მეომრები დატოვა ყანდაარში, დანარჩენები კი დაითხოვა. რაც შეეხება აჯანყებულთა ლიდერს - მირვეისს, გიორგიმ ის ბორკილდადებული გაგზავნა ისფაჰანში, თან შაჰს წერილობით ურჩევდა მის სიკვდილით დასჯას.

შაჰმა გიორგის რჩევა არად ჩააგდო და და მირვეისი უკან, ყანდაარში დააბრუნა. იქ მან შერიგების ფიცი დადო და ქართველთა ხელისუფლება აღიარა.

თუმცა, საბოლოოდ, ბრძოლის ველზე ქართველების მიერ არაერთგზის ძლეულმა მირვეისმა მუხანათობით მაინც გაიმარჯვა. 1709 წელს, მან, ყანდაარის სიახლოვეს, რამდენიმე სოფლის აჯანყების ინსცენირება მოაწყო. გიორგი მეფე წამოეგო ანკესზე და აჯანყებულთა დასასჯელად ქართველთა სამიათასკაციანი ჯარი გაგზავნა თავისი ძმისწულის, ალექსანდრეს მეთაურობით, თავად კი მირვეისის მიერ მის საპატივცემულოდ გაშლილ პურმარილზე გაემგზავრა მცირერიცხოვანი ამალით. მაგრამ ”უღალატა მეფეს გიორგის ყანდაარის სულთანმა მირვეისმა, მოუხდა განთიადსა, დაესხა თავსა. რა სცნა მეფემან, ედვა ქარქაშისარჩისა გვერდას მისსა, გაიკრა ხელი, თავმან მისმან, სანამდის ისარი ჰქონდა, არც ერთი არ დააცდინა, რაისარიდაელია, გაიკრა ხმალსა ხელი, როგორც დევი, ისე იბრძოდა, ჰკრეს თოფი ამა მორჭმა დიდების პატრონსა და მოკლეს, ვინცა ქართველნი დარჩომილიყო, ამოსწყვიტეს.“

ირანში მოღვაწე კათოლიკე მისიონერები აღნიშნავდნენ და ვახუშტი ბატონიშვილიც მოგვითხრობს რომ: “მოკლეს მეფე გიორგი დიდსა ხუთშაბათსა და

აჰყარნა ჯვარნი მეფესა, მირვეისს და ფსალმუნი, რომელსაცა იკითხვიდა ჟამსა მასდა, წარმოუგზავნა ყეენსა.“

ჯვარი და ფსალმუნი მუდამ თან ჰქონია „მუსლიმ“ მეფეს...

*

- ეს მწვანე მიწა სწორედ ყანდაარიდანაა ჩამოტანილი... გადმოგიყრი ცოტას, თუ გინდა...

- გადმომიყარე...

გამიხვია ქაღალდში და მომცა. სახლში რომ მივედი, იასამნისფერ ქისაში ჩავყარე (რომელიღაც სუნამო იდო ადრე) და წიგნების თაროზე შემოვდე. იმ ღამით საშინელი სიზმრები ვნახე - უკუნ ღამეში ველური ყიჟინა და გაჭენებული ცხენების თქარა-თქური მესმოდა, მერე ხმლით შემომივარდნენ ოთახში ვიღაც შავნიღბიანები, რაღაცას სპარსულად (ან იქნებ ავღანურად) ყვიროდნენ და ხმლებს ატრიალებდნენ. ოფლში გაწურულს გამომეღვიძა. მეორე ღამეს იგივე განმეორდა, ისევ ყიჟინა, ომი, ცხედრები. მთელი დღეები რაღაცნაირად დათრგუნული დავდიოდი, რაღაც მაწუხებდა, რაღაც არ მასვენებდა. ერთ დილას გაღვიძებულმა მზერა იმ იასამნისფერ ქისაზე შევაჩერე...

და მივხვდი....

სისხლი ყიოდა, გიორგის და იმ ქართველების სისხლი, ყანდაარში რომ ამოხოცეს ავღანელებმა. აქ, თაროზე შემოდებულ მიწას ჰქონდა შეწოვილი მათი სისხლი და ახლა დუღდა, ვერ ისვენებდა, ადგილს ვერ პოულობდა. სისხლით გაპოხილი მიწა მიწასვე ეძებდა განსასვენებლად, ოღონდ ამჯერად მწვანე ფერის ავღანურს კი არა, მშობლიურ მიწას.

მარტის ბოლო იყო, დილის 6 საათი. თაროდან ის მწვანემიწიანი იასამნისფერი ქისა გადმოვიღე, კარი ჩუმად გავაღე და ქუჩაში გამოვედი. გეზი მზიურის პარკისკენ ავიღე, ხილიანის ქუჩიდან ვიწრო ხიდით პარკში გადავედი და აღმართს ავუყევი. ირგვლივ ჩიტები ჟრიამულობდნენ. გაზაფხულის ხასხასა ბალახიდან ახალგამოღებული კვირტები აფერადებდა იქაურობას. წინ ხე შემომეფეთა ულამაზესი, აი ისე, მცხეთის გზაზე სვეტიცხოველი რომ შემოგეფეთება და ამოგახვნეშებს. თეთრი ყვავილები აფეთქებოდა, ზოგი გულზე გადაეყარა, ზოგს კი თეთრად დაეფარა მიწა. იქვე დაგდებული ტოტით ხის ძირას მიწა მოვჩიჩქნე და ქისის შიგთავსი შიგ ფრთხილად ჩავუშვი. მერე სათუთად მივაყარე მიწა.

ესეც ასე. გიორგი XI „დავასაფლავე“ სხვა ქართველ მეომრებთან ერთად... მსუბუქი იყოს...

ვალმოხდილი და რაღაცნაირად მხიარული მოვდიოდი უკან. მეცინებოდა. ცოტას კი ვუბერავ, ხომ იცი...

მერე ერთხელ სუფრიდან წამოსულზე ძმაკაცებს ვუთხარი, გიორგი XI-ის საფლავი ვიცი და თითო ჭიქა წავუქციოთ, მე ვკისრულობ-თქო. ჯერ დამცინეს, მაგრამ კიდევ უნდოდათ დალევა და მაგათთვის რა მნიშვნელობა ჰქონდა, სად დალევდნენ. ჰოდა წამომყვნენ. ის ლამაზი ხე ადვილად ვიპოვნე. ჭიქით ხელში მოვყევი ეს ისტორია. გამიღიმეს, თანაგრძნობით შემომხედეს. მერე, აბა შემთხვევას ხელიდან როგორ გაუშვებდნენ, და ახორხოცდნენ...

- ხო, კარგი, გავიგეთ, თან საქმე...
- აღდგომას არ უნდა მოხვიდე კვერცხის გადასაგორებლად?
- ჰო, საბურთალოს სასაფლაოზე შენიანებს რომ მოივლი, ბარემ ვაკით წამოდი და აქაც შემოიარე.
- მერიის ნებართვა გქონდა, აქ საფლავი რომ გააკეთე?
- იღადავეთ, იღადავეთ, მე არ მწყინს.

ის იყო და კოშმარებიც გამიქრა (ცოტა ხნით, რა თქმა უნდა, აბა ამ ქვეყანაში დიდი ხნით ვინ მოგასვენებს).

ამას წინათ მზიურის ბაღში შემთხვევით მოხვედრილს ის ხე გამახსენდა, მაგრამ ვეღარსად მივაგენი. 13 ივნისის საზარელ წყალდიდობას, ამხელა მსხვერპლი რომ მოჰყვა, ის ხეც მოეგლიჯა და წაეღო გიორგი მეთერთმეტის „საფლავთან“ ერთად.

ფრიდონ საყვარელიძე

თბილისი, 2017 წლის17 მარტი

თიანური ჩანაწერები

*

ბუთქუნა ნასახლკარები, ჩამოძენძილი ვაშლები,
ჟებოტაური ჟებოტა, ჭანჭური ქუჩას დაყრილი.
როგორ მოვედი ამ ქვეყნად, როგორ მოვედი მსოფლიოს?!
ისე, რა მომცრო ყოფილა ამა ქვეყნისა ცხოვრება,
კიდიდან კიდე, და კიდევ და კიდევ,
მივყვები დაუსრულებლად, შარაგზა აღარ ილევა,
ნაბიჯი ერთი, ნაბიჯი ორი,
გზაში ხარ არ ჩაგეძინოს.
ისე, გაინტერესებს სად მიხვალ?
ისიც, საიდან მოდიხარ?
ისიც, ვინა ხარ?
ისიც, რატომ ხარ?
ისევ, ბუთქუნა ბაყვს ზევით,
ისევ, ჟებოტაურის არაყი,
ისევ, ნეონის ცრემლებით დასველებული ქალაქი,
უცებ სამყაროს მიღმა ხარ,
უცებ, გადამავიწყდა ფიქრები...
შენ ხომ არ გათოვდა თავდავიწყების ჩანჩქერი.
შენ ხომ არ ოცნებობ კომეტასავით ფრენაზე.
შენ ხომ არ გეძინა იასამანის ბუჩქებში.
ხალათის ჯიბეში არ გიპოვნია განძები?
პატარა ბავშვივით არ გიტირია წარსულზე?
შენ შენი იერით არ აგიწევია ცხვირპირი?
არა, შენ ნოე არა ხარ და არცა მაკედონელი.
შენი მსუბუქი ნაბიჯი ნაკვალევსაც კი არ ტოვებს.
გაფრინდა შავი მერცხალი, ჩამოიფრინეს ყვავებმაც,
მერე აუტყდა სუყველას ვეფხისტყაოსნის ფურცლები.
მორჩა, ხანდახან მეც მოვკვდე, ნუთუ არა მაქვს უფლება?
მთხოვეს და არ დავიბადე? მთხოვეს და არ შევუსრულე?

*

გაბჟუვდი, გადაილეშე, არ დაინახო სანახი,
აქამდე როგორ გაძელი, რომ არ დალიე ვაჟაუ,
თვალს გაახელ და გარშემო ჭინკები შემოგსევიან,

გელოდებიან, გიცქერენ, როდის გადადგამ ნაბიჯსა,
გადადგამ გადაგთელავენ, გაგასწორებენ მიწასთან,
არ გადადგამ და გარშემო სულ ვიწროვდება ჭინკათ წრე
გაბჟუვდი, გადაილეშე, ვითომდა არა ყოფილხარ.
ჰა, ვეჟო, მართლა შეშინდი? ჭინკებმა შეგაშინესა?
დევი რომ გაჩნდეს უცაბედ, რას ეტყვი მეზარებაო?
ეჰ! გაბჟუვდი, გადაილეშე, ვითომდა არა ყოფილხარ...

ვინმე მომინდა, ცოტა ხნით მაინც...

დიდი სისწრაფით მივფრინავ,
ცოცხზე შემომჯდარ ალქაჯს კუდში მივყვები,
ღამეა, ცაზე ვარსკვლავებია, მთვარე ანათებს,
თვალს მეფარება, მაგრამ მაინც უკან მივყვები.
რას მივსდევ? რა მინდა? რატომ მივყვები?
გაცნობა მინდა, მხოლოდ?!..

თვალს ეფარება, მაგრამ მაინც უკან მივყვები,
ცოცხზე შემომჯდარ ალქაჯს უკან მივყვები დიდი სისწრაფით,
ღამეა, ცაზე ვარსკვლავებია, მთვარე ანათებს...

ვინმე მომინდა, ცოტა ხნით, გავესაუბრო მაინც...

ვახტანგ ტაბაღუა

ერთი ნამდვილი ამბავი ამ ქვეყნიდან

მეტროთი ვმგზავრობდი. დიდი ხნის უნახავი, ძველი მეგობარი შემხვდა. ^

გავიხსენეთ ინსტიტუტის დროინდელი ამბები.

ერთხელ სახინკლედან გამოვედით, ნასვამები. მე-2 დღეს „1 მაისის“ დღესასწაული იყო დანიშნული. პეკინის ქუჩის აივნებზე წითელი დროშები ფრიალებდნენ. არ მოგვეწონა. გადავწყვიტეთ დროშები ჩამოგვეხსნა. ვითომ სახლმმართველობიდან ვიყავით, დავიარეთ ყველა მეზობელი, - „ასეთი მითითებაა, დროშები დღეს უნდა ჩამოხსნათ და ხვალ დილიდან ისევ გამოფენთ!“ ყველამ ჩამოხსნა.

ჩამოვჯექით ბუკიას ბაღში, ლუდით ხელში და სიცილით ვკვდებოდით.

გავიდა ხანი და მე გარდავიცვალე.

სიცოცხლეში ყველას გვაინტერესებს ჩვენ პანაშვიდზე ვინ როგორ მოიქცევა.

და დავყურებდი ჩემ პანაშვიდს ზემოდან...

ინსტიტუტის ძველი მეგობარიც მოვიდა, თვალცრემლიანი. ცოცხალი ყოფილა. ხელში დაკეცილი, თეთრი-ხუთჯვრიანი დროშა ეჭირა და კუბოში ჩამისვენა.

ნეტავ ხედავდესო, გაიფიქრა.

ორივეს გულში გაგვეცინა.

ნოველა მონაწილეობდა კონკურსში, - “100 სიტყვა”. ვერ გაიმარჯვა.

პატარა გოგო

ერთი გოგო, როგორც პატარა ახტაჯანა გოგოებს სჩვევიათ, ან ხეებზე დაძვრებოდა, ან კლასობანას და 7 ქვას თამაშობდა, ან ბიჭებს ურტყამდა, - აბა, ვინმეს გაებედა და გამოეხატა, რომ მოსწონდა....

ერთხელ, მე უკვე დიდი ბიჭი ვარ,და ქუჩაში ვდგავარ (მარტო). მე-7 - მე-8 კლასელი გოგო მოდის. საბჭოთა, ყავისფერი ფორმის კაბა თეთრი წინსაფრით. თეთრი ბაბთა ეკეთა თუ არა, არ მახსოვს, მე მგონია, არა. უფროსი ბიჭისთვის არ არის ლამაზი, სკოლის მოწაფეს სხვანაირად მიაქციოს ყურადღება (შეხედოს), მაგრამ ვერ მოვითმინე, და ვუთხარი: - რა ლამაზი ხარ-თქო. (ბოლო-ბოლო. 3-4 წელი იქნებოდა ჩვენ შორის სხვაობა). გამიღიმა და გზა განაგრძო. მერე გავიგე - ეს რომ ვინმე სხვას „ეკადრებინა“ მისთვის, ან ჯოხი მოხვდებოდა თავში, ან უკმეხი პასუხი გარანტირებული იყო. ყველაფერი გაღიმების გარდა.

გავიდა დრო. ჩემი ფანჯრიდან ვიყურები (მეოთხეზე ვცხოვრობდი) და სიგარეტს ვეწევი. უცებ ორი გოგონა შემოდის ეზოში (დიდი ეზო გვქონდა, ოთხ კორპუსს შორის გაშლილი), ისევ ფორმიანები და ერთ-ერთი ის არის. რატოღაც უცბად უკან გავიწიე, არ გამოვჩნდე-მეთქი. შევამჩნიე, თვალებით მეძებდნენ, ვერ გავბედე და ფანჯარას ვერ დავუბრუნდი. არადა, როგორ მინდოდა, რომ დამეძახა.

გავიდა დრო. ჩვენს უბანში შორიდან დავინახე ბავშვს ეტლით როგორ ასეირნებდა. გული დამწყდა, ხომ შეიძლებოდა, ჩემი შვილი ყოფილიყო...

კიდევ ბევრი დრო გავიდა. მე მივიღე ჩემი მოსკოვები, პარიზები და ვინ იცის, კიდევ რა არა და ათენში, ღია კაფეში ვზივარ მარტო. და ის გოგო არ მოდის? მოდის მარტო, სევდიანი მოსეირნობს. ვუყურებ - ის არისთუ არა? ის არის! მაშინ არ მომერიდა და აცდექი, მივედი, მივესალმე და მიცნო!უკვე იმ ასაკში ვიყავით, რომ სიყვარულის და მეგობრობის მეტი აღარაფერი დაგვრჩენოდა, და დავრჩით ასე ცხოვრების ბოლომდე...

სულ ის ფრაზა მახსენდებოდა - XOKIS ESENA DEN ANDEXO

xokis esena den andexo − უშენოდ არ შემიძლია.

ლამაზი ენაა ბერძნული...

ბოლო ჩანაწერები

ვაქირი, ქიზიყი

ლურჯი პეპლები

გადავაბიჯებ ჭაობს ნაბიჯს და აფრინდება პეპლების გუნდი:

ლურჯი, შავი და პაპილონები,

დაფარფატებენ, გარს მევლებიან და მახსენებენ:

პირამიდები... პირამიდები, ბაბილონები...

კოსმოსურ ხომალდთა მთელი არმადა

როგორ ბრუნდება უკან მიწაზე...

სამყაროს გონის დროის სივრცეში მიჰქრის პლანეტა

სადღაც კოსმოსში...

ნისლოვანება, გალაქტიკები, შავი ხვრელები...

მესმის კითხვები, -

რაა მიზანი?..

საით მივჰქრივართ?..

რით დამთავრდება ეს ყველაფერი?...

პონტოს ზღვები

პონტოს ზღვები მიენარცხნენ ენგურს,

დიოსქურა ტალღებს ეგებება,

კელასურში თითო ჩემი ბიჯი ამ წარსულის მიუყვება ბილიკს...

მუშტაიდში პარაშუტით გადმოვხტები,
მთაწმინდაზე საქანელას გაგიმართავ,
დავიბადე გაზაფხულის ცხელ ზაფხულში,
როცა ნუში ლეღვის ფოთლებს შეერია...

როცა ენკიმ კავკასია გვისახსოვრა,
როცა ეტრუსკები გზა-გზად გაიყარნენ,
როს ლაზებმა იბერია დაარსეს და ბასკები გაისტუმრეს იბერიას...
დრუიდები აიყვანეს ირლანდიას,
აიეტი განაგებდა კავკასიას...
როცა ღმერთი ენგურს ქვევით ბინადრობდა...
არგონავტებს გული აქეთ მოუწევდათ...

დავიბადე როგორც წყალი უდაბნოში,
ოაზისებს წაელეკა დედამიწა,
პირამიდებს აშენებდნენ კოსმოსიდან,
მარსი, მთვარე დაუპყრიათ ანუნაკებს...
სეთი გახდა ებრაელთა მამა ღმერთი,
ქართველები ისევ ენკის აღმერთებდნენ...
და დაეშვა მიწად ქრისტე ღმერთი,
ავდექით და ჯვარze gaვაკარით...

პონტოს ზღვები მიენარცხენ ენგურს,
დიოსქურა ეგებება ტალღის შხეფებს,
კელასურში თითო ჩემი ბიჯი
ამ წარსულის უხილავი ბილიკია...

ვიგვამი

ისევ შევალ და მოვისვენებ ჩემს დიდ ვიგვამში,
მოვერიდები ბიზონებს და მგლების ყმუილს,
გრინგის ფესვების ყავას მომართმევს მაჩალეტა და
სიმშვიდე დაისადგურებს...
ხვალ ისევ უნდა ვიარო აღმა,
ვითომ არ მყოფნის ამ ცხოვრების აღმა და დაღმა...
დიდი ბელადი, მთების არწივი, მეუბნებოდა, -
იარე აღმა, ფეხი არ დაგცდეს...
მეც, თავაწეული მივდივარ აღმა,
მაგრამ მაწუხებს კითხვა, - რისთვის მივდივარ?...

*

ზეცის ნამტირალებ, სველ ბაღში ვსეირნობ,

ფისო შემომხვდა, შეშინდა, გაიქცა,

ლეკვი ამეკიდა, ძლივს მოვიშორე,

ჩიტებმა იწყეს გალობა, და მზე ამოვა,

თითქოს ბუნება მშვიდად ნებივრობს,

ასე ჩუმად იცის შემოჭრა აისმა,

უფალმა დაადგინა, ჰო, უნდა იცოდე,

უფალმა ეს ცხოვრება ასეთი დაადგინა.

შენი თითები მეხება ისევ

შენი თითები მეხება ისევ,

როგორც როიალს ეხება დღესაც,

ღამეა, მთვარე ანათებს სარკმელს,

და სიყვარულის ნაპერწკლებს ბადებს...

განვლილი წლები გავლილად რჩება,

შენი სახე კი კვლავაც უცვლელი,

ყველა წყენა და სევდა რომ ქრება,

რაღაც მგონია რომ დაბრუნდება...

ო, რა კარგია, რომ იყო ეს ქვეყნად,

რომ დავფრინავდით როგორც სიზმრები...

ყველა დღეს ახლავს თავისი ნეტა, და
პატივისცემა არ დავიწყების!

შენი თითები მეხება ისევ,
როგორც როიალს ეხება სევდა...

ცხელი აგვისტოს წვიმიან ღამეს

ცხელი აგვისტოს წვიმიან ღამეს
ჩავეხუტებით სველი ფიქრებით,
და დაუბერავს ისევ სამუმი,
როგორც უდაბნოს ცხელი აღლუმი...
აპოკრიფები აწყვია ისევ, სადღაც ნიშაში,
და ჩვენი ნიცშები კვლავ უბერავენ
გავერანებულ ფიქრებს ფიქრებში...
ცხელი აგვისტოს წვიმინ ღამეს
ჩავეხუტებით დასველებულნი, წვიმის წვეთებით...
სამყარო გვფარავს, გვესამუმება,
სამყაროს გონი გვესაუბრება,
სამყაროს გონი გვიგზავნის ფერებს,

რომ ეს სამყარო გავალამაზოთ...

ნიბირუს დილით რომ შევეგებო

დნმ-ის მეხსიერების ძველ ლაბირინთში

სინოკეფალები შემომეფეთნენ,

ისე გამჭოლად გადამიარეს თითქოს არც ვიყო,

შემომეფეთნენ კენტავრები, ონო და ლეონტოებიც,

სფინქსი შემომეფეთა,

კეკროპი, სერკეტი, გარპოკრატი, ლახმა და

სირინოზების მთელი პლეადა...

აღარ არიან, დღეს ქვეყანაზე აღარ არიან,

შემორჩენენ სადღაც მეხსიერების სადღაც კუნჭულში...

ჩვენ დავრჩით მხოლოდ, - homo sapiens!

მონობისთვის შექმნილი რასა...

ვინ არ ცხოვრობდა დედამიწაზე,

ვინ არ ომობდა...

ახლა ჩვენ ვომობთ, - ჰომოსაპიენს!

მ ო ნ ა ს ა პ ი ე ნ ს!

სამყაროს გონი ხომ ვერ აღვიქვით...

ქრისტეს არ ვუსმენთ,

უფრო სწორედ, არ მოვუსმინეთ!

სამღვდელოება არ დაუშვებს რომ მონობიდან თავი გამოვყოთ,

„დიდებულებიც“ რა თქმა უნდა არ დაუშვებენ...

მიჰქრიან დღენი, დღე დღეს მისდევს და წელი წელს...

დაბრუნდებიან ნიბირუდან ანუნაკები?

ქრისტე კვლავ მოვა?

150 წელი უნდა ვიცოცხლო,

ნიბირუს დილით რომ შევეგებო!

შინაარსი

ვარსკვლავთ წვიმა ----------3

ძველი ჭრილობების მწარე სიჩუმე ----------5

r e s t a v r a t i o ---------- 7

ტომის ბელადი ---------- 11

მე, ჩემი და მაკა და საზაფხულო არდადეგები ----------19

ზუგდიდი, მარინა ---------- 27

ცისფერთვალება, მწვანე თვალება და თაფლისფერთვალება... -----
37

მარიამ ტაბაღუა – “ამან თქვა” ---------- 59

მანანა ტაბაღუა – “მაისის ერთი საღამო” ---------- 61

ფრიდონ საყვარელიძე – “მწვანე მიწა” ----------65

თიანური ჩანაწე

“ბუთქუნა ნასახლკარები…” ---------- “გაბჟუვდი, გადაილეშე…” ---------- ვინმე მომინდა, ცოტა ხნით მაინც... ---------- 75

ერთი ნამდვილი ამბავი ამ ქვეყნიდან ---------- 77

პატარა გოგო ---------- 79

ლურჯი პეპლები ---------- 83

პონტოს ზღვები ---------- 85

ვიგვამი ---------- 87

“ზეცის ნამტირალებ…” ---------- 89

შენი თითები მეხება ისევ ---------- 91

ცხელი აგვისტოს წვიმიან ღამეს ---------- 93

ნიბირუს დილით რომ შევეგებო ---------- 95

რედაქტორი ნუნუ ურუტაძე

დიდი მადლობა დახმარებისთვის ბადრი წულაძეს და ნოდარ ტაბაღუას

ვახტანგ ტაბაღუა დაიბადა 1955 წელს.

პროფესიით ექიმი.

პირველი კრებული, - “პალატა N5”, დაიბეჭდა 2010 წელს (რედ. გ. სულაკაური).

მის ტექსტზე დაწერილი სიმღერა, “გაზაფხული აპრილი…”, დათო გომართელის შესრულებით (მუს. მ. ჩარკვიანის), 2000 წლის საუკეთესო სიმღერების ხუთეულში შევიდა.

წინამდებარე კრებულში შესულია 2010-2017 წლების ჩანაწერები.